



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი  
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**ჩხრეკა და ამოღება, მათი პროცესუალური დახასიათება**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ნინო გენებაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:  
პროფესორი

ვენედი ბენიძე

თბილისი

2020

## შინაარსი

ანოტაცია-----	3
Annotation-----	4
შესავალი-----	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა -----	8
თავი I. ჩხრეკისა და ამოღების ცნება, მიზანი, არსი, მნიშვნელობა და საფუძველი-----	9
1.1. ჩხრეკისა და ამოღების ცნება, მისი ობიექტი და საგანი-----	9
1.2. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების არსი და მნიშვნელობა-----	19
თავი II. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა-----	30
2.1. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა-----	30
2.2. საცხოვრებელი ბინისა და ადგილმდებარეობის ჩხრეკის ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება-----	33
2.3. ჩხრეკის და ამოღების ურთიერთმიმართება-----	37
თავი III კვლევის შედეგები-----	40
დასკვნა-----	49
გამოყენებული ლიტერატურა-----	52

## ანოტაცია

სადიპლომო ნაშრომში საკვლევ საკითხს ჩხრეკა და ამოღება, როგორც სისხლის სამართლის საპოცესო კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან და რთულ საგამომიებო მოქმედებას პროცესუალური კუთხით განვიხილავთ.

გასათვალისწინებელია, რომ ცალკეული საგამომიებო მოქმედებების ჩატარება, რომლებიც არსებითად ზღუდავენ პირის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს (მაგ., ჩხრეკა, ფარულის საგამომიებო მოქმედებები), შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

ჩხრეკას და ამოღებას, როგორც სისხლის სამართლის საპოცესო კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან და რთულ საგამომიებო მოქმედებას ჩვენ სწორედ პროცესუალური კუთხით განვიხილავთ.

ჩვენს მიერ, ნაშრომში, განხილული საგამომიებო მოქმედება კი წარმოადგენს ყველაზე მძიმე ჩარევას დაცულ სფეროში, რადგან თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია მოქალაქისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა-შეზღუდვასთან, გამომდინარე აქედან, ჩხრეკა და ამოღება, როგორც იძულებითი ხასიათის საგამომიებო მოქმედებების ჩატარებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

## **Annotation**

In the thesis, we will discuss the researching issues, search and seizure as a procedural point of view as one of the most important and difficult investigative actions provided by criminal procedures.

It should be noted, that performing the certain investigative actions, which substantially limits human rights and freedoms (for example, search, hidden investigative action), is only possible with the permission of the court.

We definitely discuss the search and seizure as a procedural point of view provided by criminal procedures.

The investigative action discussed in our thesis, is the most serious interference in the protected area, because it is almost related to the violation of the rights and freedoms granted to a citizen by the Constitution. Therefore, special attention should be paid to the search and seizure actions, as coercive investigative actions.

## შესავალი

**კვლევის აქტუალობა.** სისხლის სამართლის პროცესი იწყება გამოძიებით. გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობა. როგორც წესი, ეჭვი ემყარება მესამე პირების მიერ პოლიციაში, საგამოძიებო ორგანოში ან პროკურატურაში დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებას. ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში (მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაციის წყაროს) გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება (სსსკ-ის 100-ე და 101-ე მუხლები). თუ თავდაპირველად დანაშაულის ჩამდენი პირი უცნობია, გამოძიება მიმდინარეობს დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, რომლის მიმართაც წარმოებს გამოძიება, იწოდება ბრალდებულად. ბრალდებული წარმოადგენს ზოგად ტერმინს, რომელიც გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ. დანაშაულის გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი, იგი უფლებამოსილია გარკვეულ შემთხვევებში სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება. გამოძიება შედგება ცაკეული საგამოძიებო მოქმედებებისგან, რომლის მეშვეობით ხდება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება. წარდგენილი ბრალდებისგან თავის დასაცავად, გამოძიების ჩატარების უფლება ენიჭება აგრეთვე ბრალდებულსაც, რომელიც მტკიცებულებებს მოიპოვებს დამოუკიდებლად ან დამცველის მეშვეობით. საგამოძიებო მოქმედება არის საპროცესო ღონისძიება და იგი სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მხარის ინიციატივით ტარდება მტკიცებულებების მოპოვების ან სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოვლენის მიზნით.

გასათვალისწინებელია, რომ ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება,

რომლებიც არსებითად ზღუდავენ პირის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს (მაგ., ჩხრეკა, ფარულის საგამომიებო მოქმედებები), შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

ჩხრეკას და ამოღებას, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან და რთულ საგამომიებო მოქმედებას ჩვენ სწორედ პროცესუალური კუთხით განვიხილავთ. ჩვენს მიერ, ნაშრომში, განხილული საგამომიებო მოქმედება კი წარმოადგენს ყველაზე მძიმე ჩარევას დაცულ სფეროში, რადგან თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია მოქალაქისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა-შეზღუდვასთან, გამომდინარე აქედან, ჩხრეკა და ამოღება, როგორც იძულებითი ხასიათის საგამომიებო მოქმედებების ჩატარებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

**კვლევის მიზანი.** წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია ჩხრეკა და ამოღება, ჩატარების პროცესუალური თავისებურებები. მტკიცებულებების შეგროვების, ფიქსაციის, მოკვლევისა და გამოყენების მეთოდებია: ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა ჩხრეკისა და ამოღების ფიქსაციის ხერხები და საშუალებები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილის კონსტიტუციის და საპროცესო კოდექსის შესაბამისობაში შესრულება აუცილებელია მტკიცებულებების სწორად მოპოვებისათვის, რაც აისახება ჩხრეკისა და ამოღების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობაზე.

**კვლევის ამოცანა.** დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომის კვლევის ამოცანებია:

- ჩხრეკისა და ამოღების ცნების, მიზნის, არსის, მნიშვნელობისა და საფუძველის ანალიზი;
- ჩხრეკისა და ამოღების ობიექტისა და საგანის მიმოხილვა;
- ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკის და ტაქტიკური თავისებურებების მიმოხილვა.

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომში გამოყენებული იქნება სისტემური, ლოგიკური, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. ასევე ნაშრომის კვლევის მეთოდს წარმოადგენს თეორიული ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურის და პრაქტიკული საქმიანობის მეშვეობით მიღებული მონაცემების განზოგადება.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შემხებლობაში არსებული ყველაზე მწ-ვავე სფეროა. ამიტომაც მისი სათანადოდ რეგულირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის უფლებების დაცვას მასში დაუსაბუთებელი და არაგონივრული ინტერვენციებისგან. ამგვარი რეგულირების არარსებობა კი, პირიქით, განაპირობებს და, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს კერძო პირის ინტერესის გაუმართლებელ შეზღუდვას საჯარო ინტერესის სახელით. ამიტომაც, მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკა და პრაქტიკა იმგვარად იქნეს განვითარებული, რომ დაცული იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ლეგი-ტიმურ ინტერესებს შორის კანონმდებლობის საფუძველზე.

ეკა ხუციშვილის და სოფო ვერძეულის კვლევა „ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“ თბ. 2012 წინამდებარე ანგარიში სწორედ არსებული ბალანსის ერთგვარ შეფასებას წარმოადგენს. სისხლის მართლმსაჯულებაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად, რჩება საკითხები, რომლებიც დამატებით ძალისხმევას მოითხოვს ადამიანის უფლებების ძირითადი მოთხოვნებისა და სტანდარტების დამკვიდრების თვალსაზრისით. ანგარიშში გამოყოფილია ის საკითხები, რომლებიც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ გამოიკვეთა. ასევე, ყურადღება გამახვილებულია სისხლის სამართლის კოდექსსა და მის პრობლემებზე. 2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედებული საპროცესო კოდექსი მიზნად ისახავდა წმინდა შეჯიბრებითობის დამკვიდრებას სამართალწარმოების დროს, დაცვის პოზიციების განმტკიცებას და ბრალდებულისთვის მეტი გარანტიების უზრუნველყოფას. ზემოაღნიშნულის მიუხედავად,

მისი პრაქტიკაში ამოქმედების შემდეგ გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც კოდექსის აღიარებულ მიზნებს არ შეესაბამება და ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია არსებული თვალსაჩინო პრობლემები, რომელთაც ადგილი აქვს და ჰქონდა სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია საკანონმდებლო ხარვეზებზე და შემოთავაზებულია რეკომენდაციები არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ამასთან, საკითხები შერჩეულია მათი პრობლემატიკის სენსიტიურობისა და ინტენსივობის გათვალისწინებით. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია მოსაზრებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნაწილების რევიზიის შესახებ.

მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი (მეექვსე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა) თბ.2015 - ნაშრომი შედგენილია 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული და 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შესული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. მასში სამეცნიერო კვლევითი მეთოდების გამოყენებით ამომწურავადაა განხილული მოქმედი საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები, გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები, დასმულია საკანონმდებლო წინადადებები კანონმდებლობის დახვეწისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) მეორე გამოცემა გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი \_ 2009 და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით, თბ. 2015 წიგნში გადმოცემულია სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ინსტიტუტები, იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც მათ განიცადეს. არის გარკვეული თეორიული საკითხების ინდივიდუალური გადაწყვეტის მცდელობაც, რაც ნაშრომს საინტერესოს ხდის.

გამოკვლევა ასევე დაეყრდნოა საქართველოს კონსტიტუციას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას და სხვა ნორმატიულ მასალას. ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს, ასევე, მეცნიერთა შრომები, სამეცნიერო სტატიები და პუბლიკაციები და სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა.

## თავი II. ჩხრეკისა და ამოღების ცნება, მიზანი, არსი, მნიშვნელობა და საფუძველი

### 1.1 ჩხრეკისა და ამოღების ცნება, მისი ობიექტი და საგანი

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირ შემთხვევაში ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ და ერთიმეორესთან აიგივებენ ჩხრეკის ობიექტსა და საგანს, რაც, ვფიქრობ, არასწორია. ჩხრეკის საგანი სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც საძიებოა და რის დასაძებნად და აღმოსაჩენადაც წარმოებს ეს საგამოძიებო მოქმედება. ჩხრეკის ობიექტი კი არის ის, სადაც ან რაშიც უნდა ვეძიოთ გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგანი. ამ შემთხვევაში საძიებო საგანში იგულისხმება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ყოველგვარი ფასეულობა, დანაშაულის ჩადენის იარაღები, დოკუმენტები, კანონით აკრძალული სხვადასხვა სახის საგანი (ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო ვაზნები, ნარკოტიკული ნივთიერებები და სხვ.), ძეგნაში მყოფი პირები, ადამიანის გვამი და სხვ.

გასაჩხრეკი ობიექტების თავისებურებათა გათვალისწინებით, ჩხრეკის საგნების საძიებო ობიექტები შეიძლება იყოს საცხოვრებელი ბინა და სამსახურებრივი სამუშაო ოთახი თავისი დამხმარე სათავსოებით, საცხოვრებელი ბინის გარშემო მდებარე ადგილმდებარეობა, ბაღი, ეზო, სააგარაკო ადგილმდებარეობა და სხვ. ჩხრეკის ცალკე ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე თვითონ პიროვნება, მისი სხეული, ტანსაცმელი და მისი კუთვნილი ობიექტები; კერძოდ, ხელბარგი – ჩემოდანი, ჩანთა, ტრანსპორტი და სხვ. ამოღების საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე საფოსტო გზავნილი და სხვ<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup>ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბილისი. 2007, 283

ზემოაღნიშნული ობიექტების ჩხრეკის თავისებურებათა გათვალისწინებით ჩხრეკის ცალკე სახეებად უნდა მივიჩნიოთ<sup>2</sup>:

საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა დამხმარე სათავსებით;

დაცული ადგილმდებარეობის ჩხრეკა;

სამსახურებრივ ადგილზე სამუშაო ოთახის ჩხრეკა თავისი დამხმარე სათავსებით;

პირადი ჩხრეკა;

ტრანსპორტის ჩხრეკა და სხვა ისეთი დაცული ობიექტი და ადგილმდებარეობა, სადაც შეიძლება ინახებოდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, ჩხრეკა შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური, პირველადი და განმეორებითი.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან გამომდინარე, ჩხრეკის ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ჩხრეკა არის პიროვნების ან დაწესებულების, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის და გაერთიანებების ადმინისტრაციის ნების საწინააღმდეგოდ მიმართული ისეთი იძულებითი სახის საგამომიებო მოქმედება, რომელიც მიმდინარეობს მათი საცხოვრებელი ბინის, შენობის, სამსახურებრივი სამუშაო ოთახის ან მდებარე დამხმარე სათავსების, ადგილმდებარეობის, პიროვნების და მისი კუთვნილი საგნებისა და ობიექტების (ხელბარგის, ტანსაცმლის, ტრანსპორტის და სხვ.) გამოკვლევა გამოსაძიებლ საქმეზე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების, დანაშაულის ჩადენის იარაღების და კვალის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთებისა და ფასეულობის, გადამალული გვამის, ძეხნაში მყოფი პირის და ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო სხვა საგნებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების მიზნით.

ჩხრეკის ანალოგიურად, ამოღებაც პიროვნების ან საწარმოო დაწესებულების, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და გაერთიანების ადმინისტრაციის ნების საწინააღმდეგოდ მიმართული იძულებითი სახის საგამომიებო მოქმედებაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩხრეკის ჩატარების დროს, უმეტეს შემთხვევაში, უცნობი და გაურკვეველია, თუ ჩხრეკის შედეგად გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე რა კონკრეტული სახის საგანი ან დოკუმენტი იქნება აღმოჩენილი. ამოღების დროს კი წინასწარი მონაცემებით უკვე გარკვეულია, რომ საქმის გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე (დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფასეულობა და სხვ.) საგანი ინახება გარკვეულ პირთან, რომელსაც წინადადება ეძლევა ნებაყოფლობით წარმოადგინოს და გადასცეს იგი გამოძიებას. ამ მოთხოვნის

---

<sup>2</sup> გაბედავა ვ., ამოღება და ჩხრეკა. ზუგდიდი, 2001, 116

შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი ნების საწინააღმდეგოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებული იქნება ჩხრეკა და სხვ<sup>3</sup>.

ისევე, როგორც ჩხრეკის, ამოღების ჩატარების დროსაც საჭიროა გვექონდეს მოსამართლის, ან სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაიბადოს კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს გამომძიებელი ან პროკურორი იმ შემთხვევაში, როც მათ ნებართვა მიღებული აქვთ სასამართლოსაგან ამოღების ჩატარების შესახებ, მაგრამ პირმა, ვისთანაც ეს მოქმედება უნდა ჩატარდეს, დასახელებული საგნების ნებაყოფლობით გადაცემაზე უარს ამბობს თუნდაც იმ მოტივით, რომ მას არავითარი ამგვარი საგნები არა აქვს. ასეთ დროს, როგორც წესი, ამოღება შეიძლება გადაიზარდოს ჩხრეკაში. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ღიად რჩება საკითხი: ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს ამ მოქმედების ჩამტარებელი პირი – ხელახლა გამოიტანოს დადგენილება ამოღების ნაცვლად ჩხრეკის ჩატარების შესახებ და დაელოდოს მოსამართლისაგან ამაზე ნებართვის მიღებას, თუ დაუყოვნებლივ – ყოველგვარი დადგენილებისა და სასამართლოსაგან სპეციალური ნებართვის მიღებისაგან დამოუკიდებლად ჩატაროს ჩხრეკა? ეს პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, რადგან, ჯერ ერთი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ ამოღება და ჩხრეკა გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე გამომძიებლის დადგენილებით; მეორეც, ტაქტიკური თვალსაზრისითაც, ასეთ დროს ყოველგვარი დაყოვნება საქმისათვის საზიანო იქნება მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით<sup>4</sup>.

პიროვნებისა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა გარანტირებულია იმით, რომ დაწესებულია აუცილებლობა წინასწარ იქნეს მიღებული სასამართლოს თანხმობა ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარებაზე, ან ჩხრეკის ან/და ამოღების გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩატარების შემთხვევაში – შემდგომ იქნეს შემოწმებული ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერება სასამართლოს მიერ. ანუ არსებობს ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოებაზე სასამართლო კონტროლის ორი ფორმა:

1. წინასწარი, ანუ სანებართვო სასამართლო კონტროლი - როდესაც ჩხრეკა ან/და ამოღება ხდება ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოების შესახებ სასამართლოს მიერ წინასწარ გაცემული განჩინების საფუძველზე, და

2. შემდგომი, ანუ შემოწმებითი სასამართლო კონტროლი - როდესაც ჩხრეკა ან/და ამოღება ხდება მოსამართლის მიერ წინასწარ გაცემული განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, ხოლო შემდგომ კანონით დადგენილი წესითა და

<sup>3</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, 285

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით, თბ. 2015, გვ. 390-391

პროცედურებით ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

წინასწარ, ანუ სანებართვო და შემდგომ ანუ შემოწმებით სასამართლო კონტროლს ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა და თავისებურებები და საკითხის განხილვა და შეფასება უნდა მოხდეს სწორედ ამ გარემოებათა ერთობლიობით.

წინასწარი, ანუ სანებართვო კონტროლი ნიშნავს, რომ არ არსებობს (არ უნდა არსებობდეს) გადაუდებელი აუცილებლობა (მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე და ა.შ.), უფლებამოსილმა პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით, სასამართლომ კანონით დადგენილი წესით და ვადებში უნდა განიხილოს შუამდგომლობა და ან გასცეს განჩინება ჩხრეკის ან/და ამოღების შესახებ, ან უარი თქვას განჩინების გაცემაზე.

რა საკითხები უნდა შეაფასოს და შეამოწმოს სასამართლომ ჩხრეკის ან/და ამოღების შესახებ განჩინების გაცემამდე?

წინასწარი (სანებართვო) სასამართლო კონტროლის განხორციელებისას, ანუ ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოების შესახებ განჩინების გაცემამდე, სასამართლომ უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები.

დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.

სსსკ-ის 119-ე მუხლი განსაზღვრავს ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების მიზნებსა და საფუძვლებს. ორივე საგამოძიებო მოქმედების მიზანია სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება, თუმცა განსხვავებულია მათი ჩატარების საფუძვლები.

კერძოდ, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს საგამოძიებო მოქმედების –

ამოღების ჩატარების გზით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.

მაგალითად, გამომძიებლისთვის ცნობილია, რომ ყალბი სანოტარო ხელშეკრულების დედანი ინახება კონკრეტულ ნოტარიუსთან. დოკუმენტის ამოსაღებად გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს ამოღება.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა, გამომძიებელი ატარებს ჩხრეკას.

მაგალითად, გამომძიებლისთვის ცნობილია, რომ „ა“ საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ ინახავს ცეცხლსასროლ იარაღს, თუმცა მისთვის უცნობია იარაღის შენახვის კონკრეტული ადგილი (მისაღები ოთახი, საძინებელი ოთახი, სხვენი, სარდაფი და ა.შ.). გამომძიებელი იღებს ჩხრეკის ჩატარების გადაწყვეტილებას, რომლის მიზანს სწორედ ცეცხლსასროლი იარაღის მოძებნა და ამოღება წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მიხედვით<sup>5</sup>, ამოღებისა და ჩხრეკის განმასხვავებელ ნიშანს საგამომძიებო მოქმედების ნებაყოფლობითი ხასიათი წარმოადგენდა. კერძოდ, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთის ნებაყოფლობით გადმოცემის შემთხვევაში, გამომძიებელს უნდა ჩაეტარებინა ამოღება, ხოლო ნივთის ნებაყოფლობით გადმოცემაზე უარის შემთხვევაში – ჩხრეკა.

ნებაყოფლობითობის ელემენტი მოცულია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც იმ განსხვავებით, რომ ის აღარ წარმოადგენს ამოღებისა და ჩხრეკის განმასხვავებელ ნიშანს. ნებისმიერი საგამომძიებო მოქმედების ჩატარების დროს გამომძიებელი უფლებამოსილია გამოიყენოს იძულების პროპორციული ზომა.

სსსკ-ის 119-ე მუხლი ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს აწესებს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც კონკრეტულ ადგილზე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთის არსებობის და მისი ნებაყოფლობით გაცემა-გაუცემლობის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს შექმნის.

სასამართლო პრაქტიკა მრავლად იცნობს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების დაკანონებაზე უარის თქმისა და ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად განჩინების

---

<sup>5</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით, თბ. 2015, გვ.391

გაცემის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევებს სწორედ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არარსებობის გამო.

მაგალითად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ბინის ჩხრეკის კანონიერად ცნობის შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ ჩხრეკის ჩატარების საფუძველი გახდა მხოლოდ განცხადება შესაძლო დანაშაულის თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, „მხარემ საერთოდ არ მიუთითა დასაბუთებული ვარაუდის არსებობაზე და ჩხრეკის წარმოება დაამყარა განცხადებაზე მაშინ, როცა მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი პირები (რომელთა არსებობის ფაქტიც განცხადებიდან ირკვევა) ინფორმაციის ირგვლივ დაკითხულები არ ყოფილან“. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა მტკიცებულებითი სტანდარტის არარსებობა, ჩატარებული საგამომიებო მოქმედება ცნო უკანონოდ, ხოლო მიღებული ინფორმაცია დაუშვებელ მტკიცებულებად.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა სასამართლოს პრაქტიკა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგამომიებო მოქმედების ჩატარებასთან მიმართებით. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შეფასებისას სასამართლო ყურადღებას აქცევს ოპერატიულ ინფორმაციის სანდოობას.

სასამართლომ არაერთ განჩინებაში განმარტა, რომ ამოსაღები ნივთის კონკრეტულ პირთან ან ადგილზე არსებობის შესახებ ზოგადი მითითება ვერ შექმნის ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების დასაბუთებულ ვარაუდს. ამა თუ იმ მტკიცებულების საკმარისად მიჩნევისათვის აუცილებელია შუამდგომლობის ავტორმა დაასაბუთოს მათი სანდოობა. კერძოდ, ოპერატიული ინფორმაციის სანდოობის დასადასტურებლად მხარემ შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს, რატომ არსებობს ინფორმატორის და ინფორმაციის მომპოვებლის ნდობის საფუძველი, საქმეში არსებული სხვა რა ფაქტი (ფაქტები) და ინფორმაცია ამყარებს ოპერატიულ ინფორმაციას და ა.შ.

ამ მხრივ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც ინფორმატორის ჩვენებაზე დაყრდნობას შესაძლებლად მიიჩნევს მათი სანდოობის გამოცდილებისა და იმ ინფორმაციის მხედველობაში მიღებით, რომელიც ინფორმატორის მიერ მოწოდებულს ადასტურებს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგჯერ სასამართლო ფართოდ განმარტავს სსსკ-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს და ჩხრეკის და ამოღების ჩატარების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს პრაქტიკულად იმ რაოდენობის მტკიცებულებებს, რაც აუცილებელია პირისთვის ბრალდების წარსადგენად, ანუ იმ რაოდენობას, რაც დანაშაულის ჩადენაზე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იძლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ოპერატიული ინფორმაციის (თუნდაც სანდო

ინფორმაციის) საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი ჩხრეკა/ამოღება იმთავითვე განწირულია არდაკმაყოფილებისთვის. ასევე ზოგჯერ სასამართლო ითხოვს იმგვარი საგამომიებო მოქმედებების ჩატარებას (მაგალითად, ინფორმატორის მოწმედ დაკითხვას, გასაჩხრეკი პირის მეზობლების დაკითხვას), რომელთა ჩატარებაც შეუძლებელია საქმის თავისებურებიდან ან/და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე და აზრს უკარგავს ჩხრეკა-ამოღებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლო ფაქტობრივად გამოეხმაურა იმ განჩინებებს, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობები ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებლის ჩვენების, გასაჩხრეკის შესახებ პირადი ინფორმაციის და სხვა საგამომიებო მოქმედებების ამსახველი ოქმების არარსებობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის მოსამართლის განჩინება და კანონიერად ცნო გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკა შემდეგ გარემოებებზე მითითებით: „ბუნდოვანია პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩხრეკის ჩატარებამდე ამოწურული უნდა ყოფილიყო სხვა საგამომიებო მოქმედებების ჩატარება და თუ ისინი არაეფექტური აღმოჩნდებოდა დანაშაულის გამოსავლენად, შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო ჩხრეკის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხი. მოცემულ შემთხვევაში ჩხრეკა იყო დროული და კანონიერი, სხვა საგამომიებო მოქმედებების ჩატარებას მართლაც შეიძლება მოჰყოლოდა მტკიცებულებების გადამალვა, რის თაობაზეც გამოიძიება ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია (საუბარია ოპერატიულ ინფორმაციაზე)“.

რაც შეეხება გასაჩხრეკი პირის პიროვნული ინფორმაციის არარსებობას, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული არ შეიძლება გამხდარიყო საგამომიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის საფუძველი, რადგან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საგამომიებო მოქმედება ჩატარდა გამოძიების დაწყებიდან დროის მცირე მონაკვეთის გასვლის შემდეგ. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში გამოიძიება ვერ შეძლებს ყველა იმ მონაცემის და მტკიცებულების შეგროვებას, რაც შეიძლება მოეთხოვოს მოსამართლის განჩინებით ჩასატარებელი საგამომიებო მოქმედების თაობაზე შუამდგომლობის განხილვის დროს. პიროვნების მახასიათებელი გავლენას ვერ მოახდენდა გადაუდებელი აუცილებლობით ბინაში ჩხრეკის ჩატარებაზე. რაც შეეხება ინფორმაციის მიმცემის მოწმედ დაკითხვას, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გამოძიების მწარმოებელი ორგანოს პრეროგატივაა და უნდა გადაწყდეს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ პირის იდენტიფიცირებისას არ დაირღვეს

„ოპერატიულ-სამმებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-4 თავით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემის ფორმალურ საფუძველებში იგულისხმება იმ საკითხთა შემოწმება, რაც აუცილებელია შუამდგომლობის არსებითი განხილვის დასაწყებად. მაგალითად: შემოტანილია თუ არა შუამდგომლობა გასჯად სასამართლოში უფლებამოსილი პირის მიერ, ერთვის თუა არა შუამდგომლობას მისი განხილვისა და გადაწყვეტისთვის საჭირო მასალები (ან ასლები), სხვაგვარად - აკმაყოფილებს თუ არა შუამდგომლობა კანონით დაწესებულ ფორმალურ მოთხოვნებს და ა.შ.

ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარების შესახებ განჩინების ფაქტობრივ საფუძველებში იგულისხმება მტკიცებულებები (ინფორმაცია, მასალები), რომლებიც ქმნიან დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ საძებნი საგანი (ნივთი და ა.შ) იმყოფება (შეიძლება იმყოფებოდეს) იმ პირთან (იმ შენობაში), რომლის მიმართ ჩხრეკის ან/და ამოღების შესახებ განჩინების გაცემაც არის მოთხოვნილი.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე მოქმედებს ვარაუდის სტანდარტი (სსსრკ-ს მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი), რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად - „დასაბუთებული ვარაუდი“ - ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი“.

ზემოაღნიშნულ ფორმალურ და ფაქტობრივ საფუძველთა არსებობის შემთხვევაში მოსამართლე გაცემს განჩინებას ჩხრეკის შესახებ.

მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნა, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლო წინასწარ ვერანაირად ვერ შეაფასებს საკითხს მის მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის ან/და ამოღების დროს დაცული იქნება თუ არა კანონის მოთხოვნები, რადგანაც განჩინება წინ უსწრებს ჩხრეკას ან/და ამოღებას. ჩხრეკის ან/და ამოღების შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების კანონიერება, საფუძველიანობა და დასაბუთებულობა არ არის დაკავშირებული ამ განჩინების საფუძველზე შემდგომ განხორციელებული ჩხრეკის ან/და ამოღების პროცედურების კანონშესაბამისობასთან. ანუ შესაძლოა განჩინება სრულიად კანონიერი, საფუძველიანი და დასაბუთებული იყოს, მაგრამ თვით ჩხრეკის ან/და ამოღების პროცედურები იქნეს დარღვეული, რაც თვით განჩინებას არ აქცევს უკანონოდ და დაუსაბუთებლად, და პირიქით, შესაძლოა ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარების ფორმალური პროცედურები აბსოლუტურად ზუსტად იყოს შესრულებული, მაგრამ ამ მოქმედების

განხორციელების შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილება იყოს უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.

საჭიროდ მივიჩნევთ განვმარტოთ, რაში მდგომარეობს წინასწარი გამოძიების ეტაპზე ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოებაზე სასამართლო კონტროლის არსი. პირველ რიგში სასამართლო კონტროლი გულისხმობს კონტროლს უფლების შეზღუდვის ნებართვაზე, ანუ არ შეიძლება ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარება მოსამართლის განჩინების (წინასწარი ნებართვის) გარეშე, ან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, გამომძიებლის დადგენილების გარეშე.

ახალმა 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დაადგინა ახალი წესი. გასაჩხრეკი პირის ან გასაჩხრეკი ობიექტის მესაკუთრის, მფლობელის ან/და ორგანიზაციის, დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა საკმარისია ჩხრეკის ან ამოღების ჩასატარებლად მოსამართლის განჩინების გარეშე (სსსრკ-ს 112 მუხლის 1-ლი ნაწილი) და ასეთ შემთხვევაში სავალდებულო აღარ არის მოსამართლისთვის მიმართვა ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების შემოწმების მიზნით წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე. ჩხრეკის ან ამოღების კანონიერება შემოწმდება საერთო წესით წინასასამართლო სხდომაზე ან საქმის არსებითად განხილვისას სასამართლოში. ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებაზე თანხმობა უნდა განვასხვავოთ ამოსაღები საგნის ნებაყოფლობით წარდგენისგან. შეიძლება პირი წინააღმდეგი იყოს ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებისა, მაგრამ ნებაყოფლობით წარდგინის მოთხოვნილი (ამოსაღები) საგანი. ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებაზე თანხმობა უნდა გაფორმდეს ცალკე დოკუმენტის (ხელწერილის, ცნობის და ა.შ.) სახით, რომელსაც ხელს მოაწერს როგორც ჩხრეკის ჩამტარებელი პირი, ასევე გასაჩხრეკი პირი. ასევე გასაჩხრეკმა პირმა თანხმობა შეიძლება განაცხადოს ჩხრეკის ჩატარების შესახებ გამომძიებლის დადგენილებაზე (თუ ასეთი არსებობს) შესაბამისი მინაწერის გაკეთებით. ჩხრეკის ოქმის დასაწყისშივე უნდა იყოს სპეციალური გრაფა სადაც მითითებული იქნება და ხელწერილით დადასტურდება პირის თანხმობა ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების ნებაყოფლობითობის შესახებ<sup>6</sup>.

ჩხრეკის ან/და ამოღების, ანუ უფლების შეზღუდვის ფაქტის კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ. განჩინების გაცემისას სასამართლო არკვევს არსებობს თუ არა უფლების შეზღუდვის საფუძველი, ხოლო რა წესით, რა პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს ჩხრეკის ჩატარება, ანუ მოსამართლის განჩინების რეალიზაცია, განსაზღვრავს არა განჩინების გამცემი მოსამართლე, არამედ ეს პროცედურები განსაზღვრული და დადგენილია კანონით. სასამართლო კონტროლი, გამომძიებლის დროს მიღებულ ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე თუ

---

<sup>6</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით, თბ. 2015, გვ.391

მოქმედებაზე, ხორციელდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისას კანონის მოთხოვნათა დაცვაზე სასამართლო კონტროლი ხორციელდება არა მარტო წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე, არამედ წინასასამართლო განხილვისაც და სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეც, რადროსაც სასამართლო სრული მოცულებით იღებს გადაწყვეტილებას ყველა, მათ შორის ჩრეკის ან/და ამოღების კანონიერების საკითხზეც, ანუ ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერებაზე დაწესებულია სამმაგი სასამართლო კონტროლი:

1. წინასასამართლო გამოძიებისას;
2. წინასასამართლო განხილვისას;
3. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ასევე, საქმის არსებითად განმხილვევი სასამართლოს მოსამართლე ვალდებული არიან კიდევ ერთხელ შეამოწმონ წინასასამართლო გამოძიებისას ყველა მტკიცებულების ( მათ შორის ჩხრეკის ან/და ამოღების) კანონიერება და არ არიან შეზღუდული ჩრეკის ან/და ამოღების კანონიერებასთან დაკავშირებით წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ჩხრეკათა ან/და ამოღებათა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, მოსამართლის განჩინების გარეშე ტარდება და ეს არ არის მხოლოდ საქართველოს სპეციფიკური მოვლენა, იგივე სიტუაციაა სამართლებრივად მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც. ჩხრეკათა ან/და ამოღებათა აბსოლუტური უმრავლესობის ჩატარება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, მოსამართლის განჩინების გარეშე, წარმოადგენს ლოგიკურ და გარდაუვალ რეალობას, იმის გათვალისწინებით, რომ მაგ.: პირადი ჩხრეკა ფაქტობრივად ყოველთვის გადაუდებელია, რადგანაც შესაბამისი ფაქტობრივი საფუძველების (მტკიცებულებების, ინფორმაციის, მასალების) არსებობისას მტკიცებულების (საგნის, ნივთის) თავიდან მოშორების, გადამალვის, განადგურების და ა.შ. საფრთხე, რაც მოსამართლის განჩინების გარეშე ჩხრეკის ჩატარების საფუძველია. მაგ.: თუ არსებობს საკმაო მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ამა თუ იმ პირს თან აქვს მკვლელობის ჩადენის იარაღი, ან პირი უკანონოდ ფლობს და ატარებს ცეცხლსასროლ იარაღს, დაუყოვნებლივ (მოსამართლის განჩინების გარეშე) უნდა ჩატარდეს პირადი ჩხრეკა, რადგანაც დაყოვნების შემთხვევაში არსებობს მტკიცებულების განადგურების, გადამალვის რეალური შესაძლებლობა. ასევე იმის საფრთხე, რომ იარაღის დაუყოვნებლივ ამოუღებლობის შემთხვევაში ამ იარაღით შესაძლოა ჩადენილ იქნეს სხვა დანაშაული.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩხრეკათა და ამოღებათა უმრავლესობა სწორედ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ტარდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საკითხის კვლევა და შეფასება, რამდენად ეფექტურია ასეთ შემთხვევაში სასამართლო კონტროლი ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოებაზე, ანუ შემდგომი ( შემოწმებითი) სასამართლო კონტროლი.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია რა იგულისხმება „გადაუდებელ აუცილებლობაში“.

საგამოძიებო მოქმედების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას;

ან, როცა საქმისთვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად);

ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

ზემოთაღნიშნული გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის ან/და ამოღების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ პროკურორს, რომელიც გაეცნობა დადგენილებას ჩატარებული ჩხრეკა ან/და ამოღების შესახებ, ოქმებს, მიღებულ ფაქტობრივ მონაცემებს. პროკურორი ვალდებულია ჩხრეკის ან/და ამოღების დაწყებიდან 24 საათიან ვადაში მასალები ან ასლები წარუდგინოს მოსამართლეს.

საპროცესო კოდექსის 112-ე, 206-ე, აგრეთვე 120-ე და 121-ე მუხლები არ ადგენს თუ რა საფუძვლით შეუძლია სასამართლოს არაკანონიერად სცნოს ჩხრეკა ან/და ამოღება. აღნიშნულ მუხლებში მხოლოდ ისაა მითითებული, რომ „სასამართლო ამოწმებს ჩხრეკის კანონიერებას“. 92-ე მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თუ ჩხრეკის ჩატარებისას დაირღვა „ამ საგამოძიებო მოქმედების კანონით დადგენილი წესი, ამოღებული საგანი ან დოკუმენტი არ იძენს ან კარგავს მტკიცებულების მნიშვნელობას“. საკითხის განხილვისას მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს აგრეთვე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ ნორმებით, რომელთა მიხედვითაც მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მოპოვებულია:

ა) სსს კოდექსის არსებითი დარღვევით და ამდაგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩხრეკის ან/და ამოღების უკანონოდ, ხოლო მიღებული ინფორმაციის დაუშვებლად ცნობის საფუძველად „კანონით დადგენილ წესის დარღვევაზე“ მითითება. რას ნიშნავს „კანონით დადგენილი წესის“ დარღვევა და შეიძლება თუ არა ნებისმიერი დარღვევა მიჩნეულ იქნეს ჩხრეკის ან/და ამოღების არაკანონიერად ცნობის საფუძველად? კანონმდებელი არ გამიჯნავს კანონის დარღვევას ჩხრეკის ან/და ამოღების ჩატარებისას და დარღვევას ჩხრეკის ან/და ამოღების საპროცესო გაფორმებისას, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, არ არის გამიჯნული კანონის დარღვევა უშუალოდ ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოების პროცესში, იმ დარღვევისაგან, რომელიც დაშვებულია ჩხრეკის ან/და ამოღების ოქმის შედგენის, ანუ ჩხრეკის ან/და ამოღების საპროცესო გაფორმების პროცესში.

## 1.2. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების არსი და მნიშვნელობა

დანაშაულის ჩადენისთანავე საქმე მოდის მოძრაობაში: მასზე ტარდება გამოძიება და სასამართლო განხილვა, ე.ი. მოძრაობაში მოდის სისხლის სამართლის საქმე.

სისხლის სამართლის საქმე მოძრაობისას გადის განსაზღვრულ ეტაპებს (ნაწილებს), რომელსაც სისხლის სამართლის პროცესის სტადიები ეწოდებათ. ამ სტადიებს შორის მეორეა გამოძიების სტადია, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები ატარებენ საგამომიებო მოქმედებებს.

გამომიება არის სავალდებულო სტადია სისხლის სამართლის პროცესის, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების დაწყება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით წარმოადგენს საელმწიფოს რეაგირების ფორმას.

გამომიების დროული დაწყება წარმოადგენს გამოძიების წარმატებულად ჩატარების საშუალებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი წარმოებს “ცხელ კვალზე” და პირიქით, შემოსულ ინფორმაციაზე დაგვიანებულ რეაგირებას შეიძლება მოყვეს მტკიცებულებათა განადგურება და ხშირად გამოძიების წარუმატებლად ჩატარების საფუძველია.

სსსკ-ის 119-ე მუხლი განსაზღვრავს ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების მიზნებსა და საფუძველებს. ორივე საგამომიებო მოქმედების მიზანია სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება, თუმცა განსხვავებულია მათი ჩატარების საფუძველები.

კერძოდ, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს საგამომიებო მოქმედების – ამოღების ჩატარების გზით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.

მაგალითად, გამომძიებლისთვის ცნობილია, რომ ყალბი სანოტარო ხელშეკრულების დედანი ინახება კონკრეტულ ნოტარიუსთან. დოკუმენტის ამოსაღებად გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს ამოღება<sup>7</sup>.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა, გამომძიებელი ატარებს ჩხრეკას.

დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მხარეებმა უნდა ჩაატარონ კანონით გათვალისწინებული საგამომძიებო მოქმედებები, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები<sup>8</sup>.

თითოეული საგამომძიებო მოქმედება გათვალისწინებულია კანონით და მისი ჩატარების წესი რეგლამენტირებულია საპროცესო კოდექსით. ამის შემდეგ პროცესის მონაწილეებს წარმოეშობათ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების სუბიექტებია მხარეები, რომლებსაც გააჩნიათ თანაბარი უფლება-მოვალეობები. საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებისას დაცული უნდა იყოს მისი ჩატარების წესი. პროკურორს უფლება აქვს დაესწროს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩასატარებელ საგამომძიებო მოქმედებებს, ხოლო თუ იგი ამას მოითხოვს, სამართალდამცავმა ორგანოებმა საგამომძიებო მოქმედება არ უნდა ჩაატარონ პროკურორის მონაწილეობის გარეშე. თუ პროკურორი დაცვის მხარისაგან მიიღებს თანხმობას, იგი უფლებამოსილია დაესწროს დაცვის მხარის მიერ ჩატარებულ საგამომძიებო მოქმედებას.

თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესით გათვალისწინებული საგამომძიებო მოქმედებებიდან, დაცვის მხარეს თვითონ არა აქვს უფლება ჩაატაროს ისეთი სახის საგამომძიებო მოქმედებები, როგორცაა: ჩხრეკა და ამოღება.

სისხლის სამართლის პროცესში, ჩხრეკისა და ამოღების უფლებით, სარგებლობს მხოლოდ ბრალდების მხარე, ე.ი. გამომძიებელი და პროკურორი<sup>9</sup>.

ამოღება და ჩხრეკა საგამომძიებო მოქმედებებია და როგორც ნებისმიერი სხვა საგამომძიებო მოქმედებები, ტარდება მტკიცებულების მოსაპოვებლად.

ამოღების ან ჩხრეკის შედეგად შეიძლება მოპოვებული იქნას, როგორც ქმედების ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ასევე-სხვა ნივთიერი

<sup>7</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით, თბ. 2015, 387

<sup>8</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბილისი. 2007, 292

<sup>9</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით, თბ. 2015,

მტკიცებულება და დოკუმენტი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგნის გარემოებების დასადგენად.

ნივთიერი მტკიცებულება არის ნებისმიერი საგანი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მხარეს საკუთარი ინტერესების დასაცავად.

დოკუმენტი კი ეს არის სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომელიც დამზადებულია საპროცესო მოქმედების მსვლელობისას ან მოპოვებულია მხარის მიერ და გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში როგორც მტკიცებულების წყარო. დოკუმენტად აღიარებულია ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაციაა აღბეჭდილი სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით (ასოებით, ციფრებით და სხვ.). ყველაზე მეტად გავრცელებულია წერილობითი დოკუმენტები (დაბეჭდილი ან ხელნაწერი ფორმით). დოკუმენტად ითვლება ფოტო, კინო, ვიდეო, ბერის ჩაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით აღბეჭდილი ინფორმაცია.

სისხლის სამართლის პროცესში დოკუმენტი ჩაითვლება მტკიცებულებად იმ შემთხვევაში, როდესაც მასზე დაფიქსირებულია მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. დოკუმენტი შეიძლება იყოს ოფიციალური ან არაოფიციალური (მაგალითად, პირადი წერილები), პირველადი (დედანი) და წარმოებული (ასლი).

ჩხრეკისა და ამოღების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების გამოყენების საფუძველზე ვაწარმოთ გასაჩხრეკი ობიექტების სრულყოფილი გამოკვლევა გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნების, დოკუმენტების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულის ჩადენის იარაღის და სხვ. აღმოჩენა და ამოღების მიზნით<sup>10</sup>.

ჩხრეკა და ამოღება იძულებითი ხასიათის მიზანდასახული, რთული და, მთელ რიგ შემთხვევებში, პირველადი გადაუდებელი საგამომიებო მოქმედებაა, რომლის სწორად, დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმეზე მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების აღმოჩენა და გამოსაძიებელი საქმის შემდგომი მსვლელობის ბედი<sup>11</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი 119-ე მუხლის თანახმად, ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩატარდეს “იმ მიზნით, რომ აღმოჩენილი და ამოღებული იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.” და, რომ “ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად”.

<sup>10</sup> გაბედავა ვ., ამოღება და ჩხრეკა. ზუგდიდი, 2001, 120-122

<sup>11</sup> გაბედავა ვ., ამოღება და ჩხრეკა. ზუგდიდი, 2001, გვ. 120-122

იმისათვის კი, რომ ჩხრეკა და ამოღება ჩატარდეს, აუცილებელია არსებებდეს დასაბუთებული ვარაუდი. დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტებისა ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, იგი არის საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.

მაშასადამე, ჩხრეკისა და ამოღებას გააჩნია საერთო მიზანი. სახელდობრ, მათი მიზანია, რომ აღმოჩინონ და ამოიღონ<sup>12</sup>:

ა) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი;

ბ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი;

გ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერება;

დ) ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ანუ ჩხრეკაც შეიძლება დამთავრდეს (“შედეგიანი” ჩხრეკა, ყველა შემთხვევაში, მთავრდება) ამოღებით.

განსხვავება ჩხრეკას და ამოღებას შორის შემდეგში მდგომარეობს:

ჩხრეკის დროს წარმოებს გადამალული ობიექტების მოძებნა, ხოლო ამოღების დროს წარმოებს ობიექტების ნებაყოფლობით გადაცემა ან იძულებით ჩამორთმევა;

ჩხრეკა ყოველთვის ატარებს იძულებით ხასიათს, ხოლო ამოღება – ნებაყოფლობითი ხასიათისაა, ხოლო ზოგჯერ იძულებით ხასიათს ატარებს.

ამოღება და ჩხრეკა ისეთი საგამომიებო მოქმედებებია, რომლებიც ზღუდავენ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. როგორც უკვე ავლნიშნეთ, კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არავის არაა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

კონსტიტუციის ამ მოთხოვნათა დარღვევას, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოჰყვეს მკაცრი ზომების მიღება. სწორედ ამიტომაც, რომ ახალი საპროცესო კანონმდებლობით საკმაოდ დეტალურად იქნა რეგლამენტირებული როგორც ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საფუძველი, ისე მისი ჩატარების წესი.

*ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საფუძველი.*

ამოღებისა და ჩხრეკის საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნები, დოკუმენტები, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტები ინახება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან.

<sup>12</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ. 298

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებისათვის აუცილებელია გვექონდეს, როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი საფუძველი. იურიდიული საფუძვლის ცნებაში იგულისხმება ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების აუცილებლობის შესახებ პროკურორის ან გამომძიებლის შუამდგომლობა მოსამართლისაგან შესაბამისი განჩინების, მიღების შესახებ და მის საფუძველზე გაცემული მოსამართლის ბრძანება ან სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება.

ჩხრეკისა და ამოღების იურიდიულ საფუძველად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ამ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების უფლებით აღჭურვილი პირებისათვის (გამომძიებლის, პროკურორისათვის) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება. და ასეთად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვიგოთ გამომძიებლის და პროკურორისათვის მინიჭებულ უფლება, შევიდნენ ბინაში (ან სხვა მფლობელობაში) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის ან დოკუმენტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შევიდნენ ბინაში ან სხვა მფლობელობაში იძულების წესით. ასევე უფლება გააღონ დაკეტილი სათავსო და საცავი, თუკი გასაჩხრეკი უარს ამბობს გააღოს ისინი და სხვა<sup>13</sup>.

ფაქტობრივი საფუძვლის ცნებაში კი იგულისხმება ის უტყუარი კონკრეტული მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ ადგილზე გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე მატერიალური ფასეულობის, დანაშაულის კვალის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის ან სხვა საგნისა და დოკუმენტის არსებობაზე.

უფრო სწორად, ამოღების ფაქტობრივ საფუძველს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქმეზე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ეს მონაცემები ინახება გარკვეულ ადგილას ან გარკვეულ პირთან და მათი ძებნა საჭირო არ არის.

ხოლო ჩხრეკის საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ასეთი მნიშვნელობის მქონე საგნები და დოკუმენტები ინახება გარკვეულ საცხოვრებელ ბინაში, მის დამხმარე სათავსოში, ან სასამსახურო, საწარმო სათავსოში ან სხვა დაცულ ადგილას, ან ამა თუ იმ პირთან და არსებობს მონაცემები, რომ ეს პირები მათ ნებაყოფლობით არ გადმოგვცემენ.

საგამომძიებო მოქმედებები, რომლებიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლემ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის საკითხი უნდა გადაწყვიტოს არაუგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე, მას შემდეგ, როდესაც მიიღებს შუამდგომლობას და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს იმ მხარის მონაწილეობით, რომელმაც დააყენა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე.

<sup>13</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ. 300

კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეიძლება სასამართლოს განჩინების გარეშე, თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე თანახმაა თანამესაკუთრე ან მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს<sup>14</sup>:

ა) მისი შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) პირი, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა;

დ) განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება ის;

ე) განჩინების მოქმედების ვადა;

ვ) პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება;

ზ) მოსამართლის ხელმოწერა, დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით.

ჩხრეკისა და ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს: ის უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს (თუ მისი ვინაობა ცნობილია); ფიზიკური პირი, რომლის პირადი ჩხრეკაც უნდა ჩატარდეს; ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები; წინააღმდეგობის გაწევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება. ჩხრეკის და ამოღების განჩინება ძალადაკარგულია, თუ ეს საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყებულა 30 დღის განმავლობაში.

კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყადაღების და ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს: იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც ეგზავნება დასაყადაღებელი გზავნილი; გამგზავნის სახელი და გვარი, მისამართი (თუ ის ცნობილია); დაყადაღებული გზავნილის სახე; ყადაღის დადების ვადა; იმ დაწესებულების დასახელება, რომელსაც ევალება დააკავოს გზავნილი. გამოძიების უფლება, დაათვალიეროს და ამოიღოს გზავნილი.

სასამართლო განჩინებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც გამოძიებლის დადგენილებით, თუ არსებობს მისი ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა.

გადაუდებელი აუცილებლობა:

---

<sup>14</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ. 308

ა) როდესაც საგამომიებო მოქმედების დაყოფენამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ბ) როცა საგამომიებო მოქმედების დაყოფენა შეუძლებელს გახდის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას;

გ) როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად);

დ) როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ხელყოფის რეალური საფრთხე.

გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამომიებო მოქმედების შესახებ პროკურორი საგამომიებო მოქმედების დაწყებიდან

24 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმის მასალებს (ან მათ ასლებს), რომელიც ასაბუთებს საგამომიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას, გადასცემს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა იგი ან გამოძიების ადგილის მიხედვით.

მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლეს უფლება აქვს შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისამართლებრივი დენა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამომიებო მოქმედება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერებას. მოსამართლეს უფლება აქვს განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამომიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.

მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს ორიდან ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

ა) ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ჩატარებული საგამომიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინება საჩივრდება განჩინების აღსრულებიდან 48 საათის ვადაში.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება რომ კანონიერი იყოს, საჭიროა ამ მოქმედებათა ჩატარების შესახებ გამოტანილი დადგენილება ან შუამდგომლობა მის ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების (განჩინების) მიღების შესახებ ემყარებოდეს სავარაუდო, მაგრამ მყარ ფაქტობრივ მონაცემებს. ასეთი მონაცემები შეიძლება მიღებული იქნეს მოწმის ან უშალოდ

ბრალდებულის ჩვენებიდან ან სხვა მტკიცებებიდან, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ან დატოვებული საგნის და დანაშაულის ჩადენის იარაღების ან სხვა დოკუმენტების ამა თუ იმ დაცულ ობიექტებში (საცხოვრებელ ბინაში, სასამსახურო სამუშაო ოთახში ან მათ დამხმარე სათავსოებში, პიროვნების ტანსაცმელსა და სხეულში და სხვა.) არსებობაზე<sup>15</sup>.

იმისათვის რომ ამოღების (და არა-ჩხრეკის) ჩატარება დაიგეგმოს, საჭირო არ უნდა იყოს ამოსაღები საგნის (დოკუმენტის) ძებნა, ანუ ზუსტად უნდა იყოს დადგენილი:

–ამოღების ჩატარების ადგილი;

–ამოსაღები საგანი (დოკუმენტი).

ამოღების ადგილის წინასწარ დადგენაში ყოველთვის არ იგულისხმება ამოსაღები საგნის ზუსტი ადგილმდებარეობის წინასწარ ცოდნა, მაგალითად, ამოღებული უნდა იქნეს დაწესებულების საბუღალტრო დოკუმენტაცია, არ არის აუცილებელი წინასწარ ზუსტად იყოს ცნობილი ოფისის რომელ სართულზე, რომელ ოთახში (და ა.შ) არის განთავსებული ამოსაღები დოკუმენტაცია მთავარია, გარკვეული იყოს, რომ ეს დოკუმენტაცია ინახება დაწესებულების ოფისში.

იმისათვის, რომ დოკუმენტის ამოსაღებად დაიგეგმოს ამოღება და არა-ჩხრეკის ჩატარება, ყოველთვის აუცილებელი არა არის ამოსაღები დოკუმენტების ზუსტი რაოდენობისა და ინდივიდუალური ნიშნების წინასწარ ცოდნა. მაგალითად, საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოსაღებად ტარდება ამოღება და არა-ჩხრეკა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ არ არის ცნობილი ამოსაღები დოკუმენტების ზუსტი რაოდენობა და ზუსტი დასახელება, ანუ ამ შემთხვევაში საკმარისია ამოსაღები დოკუმენტაციის გვარეობითი ნიშნების (მაგალითად, კონკრეტული დაწესებულების 2010 წლის საბუღალტრო დოკუმენტაციის) ცოდნა.

იმისათვის, რომ ჩატარდეს საგნის ამოღება და არა-ჩხრეკა, ამოსაღები საგნის ადგილმდებარეობასთან ერთად უნდა გაირკვეს ამოსაღები საგნის ინდივიდუალური ნიშნები, მაგალითად, ამოსაღებია მკვლელობის მცდელობის შედეგად დაზარალებულის ტანსაცმელი და წინასწარ ცნობილია, თუ კონკრეტულად რა უნდა იქნეს ამოღებული –ტარდება ამოღება, მაგრამ, თუ ამოღებული უნდა იქნეს ბრალდებულის ტანსაცმელი და კონკრეტულად არ არის ცნობილი რა ტანსაცმელია ეს, ანუ ცნობილია ტანსაცმლის მხოლოდ სავარაუდო აღწერილობა და ის, რომ შესაძლებელია მასზე დანაშაულის კვალი (მაგალითად სისხლის ლაქები) იყოს – ტარდება ჩხრეკა.

მოქმედება შეიძლება დაიწყოს როგორც ამოღება, მაგრამ გაგრძელდეს როგორც ჩხრეკა. მაგალითად თუ ამოღებისას უარს განაცხადებენ ამოსაღები საგნის (დოკუმენტის) წარდგენაზე ,

<sup>15</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ. 312

მისი ზუსტი ადგილსამყოფელის მითითებაზე და საჭირო გახდება მისი ძებნა, ან ამოსაღები საგანი (დოკუმენტი) წარმოდგენილი იქნება არასრულად, ან ამოღების დროს გამოიკვეთება სხვა დანაშაულის შესაძლო ჩადენის ნიშნები და წარმოიშობა სხვა საგნის, დოკუმენტის ამოღების აუცილებლობა და მას ნებაყოფლობით არ წარადგენენ (არსებობს ეჭვი შესაძლო არასრული წარდგენის), ტარდება ჩხრეკა (ან დაწყებული ამოღება გრძელდება, როგორც ჩხრეკა).

რაც შეეხება ჩხრეკის ფაქტობრივ საფუძველს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასში იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გარკვეულ საცხოვრებელ, სამსახურებრივ, თუ საწარმო სათავსოში, ამა თუ იმ ადგილას, ამა თუ იმ პირთან ინახება (ან არსებობს საკმაო მტკიცებულებითი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ შეიძლება ინახებოდეს) სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი და არსებობს მონაცემები, რომ მას ნებაყოფლობით არ გასცემენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ არსებობს ეჭვი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი, ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულება, დამკავებელ თანამდებობის პირს დაკავებისას (დაკავების ადგილზე) უფლება აქვს, ჩაატაროს დაკავებულის პირადი ჩხრეკა მოსამართლის განჩინების, პროკურორის, გამომძიებლის დადგენილების (ანუ ჩხრეკის შესახებ საპროცესო გადაწყვეტილების) გარეშე.

აუცილებლად უნდა შევხვით იმ უარყოფით მხარეს და უხერხულობას, რასაც პრაქტიკულად შეიძლება წავაწყდეთ ამ საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებისას.

მართებულად აღნიშნავს პროფესორი შ.ფაფიაშვილი “არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების სუბიექტად მარტოოდენ გამომძიებლისა და პროკურორის აღიარება და ამ უფლების ჩამორთმევა ოპერატიული სამსახურის ორგანოს უფროსისათვის და საერთოდ მოკვლევის ორგანოს ცნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან ამოღება.” თუმცა არც ის იქნება სწორი, თუ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებას ვაქცევთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად და ამით ერთგვარად მიუახლოვდებით და აღვადგენთ წარსულში კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გაბატონებულ არასწორ შეხედულებას ჩხრეკისა და ამოღების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად მიჩნევის შესახებ.

ჩხრეკა და ამოღება თავისი პროცესუალური ბუნებით არ შეიძლება ვაქციოთ ადმინისტრაციულ-პროცესუალურ და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად<sup>16</sup>.

არც ის შეიძლება, რომ იგი გავუთანაბროთ სხვა სახის საგამომძიებო მოქმედებებს ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას.

<sup>16</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ.89

ჩხრეკა და ამოღება განსხვავდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან არა მარტო თავისი ჩატარების ტაქტიკით, არამედ პროცესუალური ბუნებითაც<sup>17</sup>.

ჩხრეკა და ამოღება რთული და იძულებითი ხასიათის საგამომიებო მოქმედებაა და მათი ჩატარება, თითქმის ყოველთვის წარმოებს მოქალაქეთე ნების საწინააღმდეგოდ, რა დროსაც, გარკვეულწილად, ილახება მათთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, თავისუფლება და ღირსება. ამიტომ მათი ჩატარება მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და მაღალ პროფესიონალიზმს, რასაც, სამწუხაროდ, ოპერატიული სამსახურის ორგანოს მუშაკები ხშირად ვერ ამჟღავნებენ.

პრაქტიკულად ეს საკითხი ასეც წყდება, მაგრამ იმის გამო, რომ ოპერატიული ფუნქციების განმახორციელებელ პოლიციის მუშაკს უფლება არა აქვს ჩაატაროს საგამომიებო მოქმედება, დაკავებული პირის მიმართ ჩხრეკის წარმოების შესახებ ადგენს მხოლოდ დაკავების და არა ჩხრეკის ოქმს. ამის შესახებ პირდაპირ ნათქვამია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მესამე პუნქტში, რომლის თანახმად “თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, დამკავებელ მოხელეს უფლება აქვს, ჩაატაროს ჩხრეკა...” და რომ ამის შესახებ უნდა აიღინიშნოს დაკავების ოქმში და ამ შემთხვევაში ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება.

ასევე არასწორია საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოსათვის უფლების მინიჭება განჩინების გამოტანით ამ ჩატარებული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ და კვლავ დავეთანხმები პროფესორ შ. ფაფიაშვილს, რომ უმჯობესია, თუ განჩინება გამოტანილი იქნებოდა არა ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის, არამედ ამ გზით მოპოვებულ მტკიცებულებათა კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ, რადგან მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.

---

<sup>17</sup> იქვე

## თავი II. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა

### 2.1 ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა

სანამ უშუალოდ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკაზე გადავიდოდეთ აუცილებელია და მიზანშეწონილად მიმაჩნია რამოდენიმე სიტყვით შევხვით ზოგადად რა არის კრიმინალისტიკური ტაქტიკა და რა კავშირი აქვს მას ჩხრეკისა და ამოღების, როგორც ერთ–ერთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან.

როგორც ცნობილია, ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ზოგად წესს ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი შესაბამისი ნორმები, იგი კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული და გამოძიების პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს დაცული შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს. მაგრამ საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს და ვერც დაადგენს იმას, თუ თუ საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებულ წესთან ერთად რა სახის ტაქტიკური ხერხები უნდა იქნეს გამოყენებული, რომ გამოძიებით მივაღწიოთ სასურველ შედეგს – გამოსადიებელი შემთხვევის სრულ, ყოველმხრივ გამოკვლევას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

მაგალითად, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს გამომძიებლის ან პროკურორის მიერ და რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული საგანი და დოკუმენტი უნდა შეიფუტოს და დაილუქოს, მაგრამ კანონმდებელი არ იძლევა და ვერც მოგვცემს იმის რეკომენ-

დაცის, თუ თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ შემთხვევაში რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული.

ტაქტიკური ხერხების შერჩევა ხდება და თავს იჩენს არა მარტო გამომძიებლის მიერ გამოსადიებელ საქმეზე ჩასატარებელ საგამომძიებო მოქმედებათა წარმოებისას, არამედ ჩასატარებელ საგამომძიებო მოქმედების ჩატარების თანმიმდევრობისას და ამავე მიზნით საქმეზე ჩასატარებელი ოპერატიულ-საგამომძიებო ხასიათის ღონისძიებათა სახეობის განსაზღვრისას, მათი ჩატარების დროისა და თანმიმდევრობის საკითხის გარკვევა-გადაწყვეტის დროსაც<sup>18</sup>.

ყოველი კონკრეტული დანაშაულის (მათ შორის ერთგვაროვანი დანაშაულის) გამოძიება იწყება არა ერთი და იმავე სახის საგამომძიებო მოქმედების ჩატარებით, არამედ მათი შერჩევა და ჩატარების თანმიმდევრობა უნდა მოხდეს პირველადი მონაცემების საფუძველზე. მაგალითად, მექრთამეობის საქმეზე, ერთ შემთხვევაში, პირველადი საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების სახით შეიძლება მოგვევლინოს ბრალდებულის დაკავება და მისი პირადი ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების აუცილებლობა, მეორე შემთხვევაში, მოწმის დაკითხვა, ბრალდებულის დაკითხვა და სხვა სახის საგამომძიებო მოქმედებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება და სხვ.

ტაქტიკური ხერხი თავისი მოცულობით და დანიშნულებით შეიძლება კიდევ უფრო ფართო იყოს, ვიდრე საქმეზე ჩასატარებელი საგამომძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა თანმიმდევრობისა და დროულობის საკითხის გარკვევა. მაგალითად, გამოძიების დაგეგმვა, როგორც გამომძიებლის სწორი, მიზანდასახული საშუალება, სხვა არა არის რა, თუ არა გამოძიების საერთო ტაქტიკური ხერხი და სხვ.

გამოსადიებელ საქმეზე დასაშვები ტაქტიკური ხერხების მოდელის ჩამოყალიბებისას, საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული ლოგიკური აზროვნების კანონები, ინდუქციური და დედუქციური კვლევის მეთოდები და ისეთი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გარდატეხა მოახდინონ ბრალდებული პირს ფსიქოლოგიურ განწყობაზე, მასთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებაზე, მისი ნდობის მოპოვებაზე და სხვ. ყოველივე ეს, ცხადია, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, პირიქით, იგი უნდა გამომდინარეობდეს მისგან და უნდა იყოს გამოსაყენებელი ტაქტიკური ხერხის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს. ამასთან, ტაქტიკური ხერხების შერჩევას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულთა გამოძიების პრაქტიკა და ანალოგიის პრინციპი.

---

<sup>18</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ. 301

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ლოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა მომიჯნავე მეცნიერებების მიღწევების ზოგად დებულებების, საგამომიებო პრაქტიკის განზოგადებისა და საკუთრივ შემუშავებული კვლევის სპეციალური მეთოდების საფუძველზე, საპროცესო დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, ქმნის და შეისწავლის გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებათა აღმოჩენისა და გამოკვლევის სარეკომენდაციო ხასიათის ისეთ ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა სწორი, თანმიმდევრული გამოყენება ხელს უწყობს საგამომიებო საქმიანობის ოპტიმალურად სწორად წარმართვას, გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებების შეკრებას, მის სწრაფ, სრულ გახსნას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება თავისთავად ამ საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკის შემადგენელი ნაწილია. კრიმინალისტიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოში, არცთუ ისე უსაფუძვლოდ, ჩხრეკის წარმოების მთელი პროცესი დაყოფილია შემდეგ ოთხ სტადიად<sup>19</sup>:

- \_ მოსამზადებელი;
- \_ მიმოხილვითი;
- \_ დეტალური;
- \_ ჩხრეკის შედეგების ფიქსაციის სტადია.

ჩხრეკისა და ამოღების მომზადების სწორ ორგანიზაციაზე, შეიძლება ითქვას, ბევრადაა დამოკიდებული მათი ჩატარების ეფექტურობა.

დანაშაულთა გამოძიებისა და ცალკეულ საგამომიებო მოქმედებათა მომზადებისა და ორგანიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკების მჭიდრო ურთიერთკავშირს და ურთიერთდახმარებას. მათი სწორი ურთიერთკავშირის დამყარება კრიმინალისტიკური ტაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მთელი რიგი ისეთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, როგორცაა: ორგანიზებული დანაშაული, ყაჩაღობა, მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა, ძარცვა, მექრთამეობა და სხვ., გახსნა შეუძლებელია მათი ერთობლივი, სწორი, მიზანდასახული საქმიანობის გარეშე. მათი ეს ურთიერთკავშირი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მომხდარ გამოსაძიებელ ფაქტზე მტკიცებულებათა აღმოჩენის, ამოღების და დანაშაულის ჩამდენ პირთა დაძებნა-დაგენის, მათი დაკავებისა და წარმოდგენის მიზნით წარმოებულ ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაში.

<sup>19</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ.285

გამომიების პროცესში გამომიებისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირის ძირითადი წყარო, მართლაც, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაა და კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, და მათი საქმიანობა ძირითადად ამ საკანონმდებლო ნორმებით რეგულირდება, მაგრამ გამოსაძიებელი დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად სწორად, ტაქტიკურად გამართულად მოქმედებენ ისინი გამოსაძიებელ საქმეზე ჩასატარებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამომიებო მოქმედებების ჩატარების დროს<sup>20</sup>.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკას შორის შედარებით რთული და შრომატევადია ჩხრეკის ჩატარება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ამ მოქმედების ჩატარების ტაქტიკურ თავისებურებაზე შევჩერდეთ.

ჯერ კიდევ ჩხრეკის მოსამზადებელ ეტაპზე, ზემოაღნიშნულ მოსამზადებელ გარემოებათა გარდა, საჭიროა:

სრულყოფილად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული საქმეში არსებული მასალა;

მიღებულ იქნეს სათანადო ინფორმაცია გასაჩხრეკი ობიექტის – შენობის ადგილმდებარეობის (ზუსტი მისამართი), მისი განლაგების თავისებურება, შენობის მფლობელის ან მასზე პასუხისმგებელი პირის (როცა საჭიროა სამსახურებრივ სამუშაო ოთახში ჩხრეკის ჩატარება) ვინაობა.

## 2.2. საცხოვრებელი ბინისა და ადგილმდებარეობის ჩხრეკის ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება

საცხოვრებელი ადგილი არის კერძო ტერიტორია სადაც ადამიანს აქვს „მარტო ყოფნის“ პრივატულობის მოლოდინი. შესაბამისად სტრასბურგის სასამართლომ მნიშვნელოვნად ჩათვალა მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვის გავრცელება საცხოვრებელ ადგილზე. ამასთან სასამართლომ აიღო „საცხოვრებელი ადგილის“ ცნების გაფართოვების გეზი. სასამართლოს განმარტებით „საცხოვრებელი სახლისა“ და „პირადი ცხოვრების“ ცნებების ვიწრო ინტერპრეტაცია ქმნის საფრთხეს, რომ სხვადასხვა შემთხვევაში არათანაბრად იქნეს დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა<sup>21</sup>. საცხოვრებელ ადგილად ითვლება აგარაკიც, დროებითი საცხოვრებელი ადგილი და დამხმარე შენობა ნაგებობები. მე-8 მუხლის მიზნებისათვის ამა თუ იმ ტერიტორიაზე საკუთრების უფლება არ არის განმსაზღვრელი,

<sup>20</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ.88

<sup>21</sup> მ. ოქრუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თავისუფლების ინსტიტუტის თბ. 2005 გვ.55

ჩაითვლება თუ არა იგი საცხოვრებელ ადგილად. გადაწყვეტია პირს ჰქონდეს სტაბილური კავშირი საცხოვრებელ ადგილთან<sup>22</sup>.

საქმეში ნიმეცი გერმანიის წინააღმდეგ სასამართლომ საცხოვრებელი ადგილის დაცვის სტანდარტი გაავრცელა სამუშაო ადგილზეც. „პირადი ცხოვრების“ ცნება მოიცავს ბიზნესსა და პროფესიულ საქმიანობასაც, რადგან ურთიერთობის დიდი ნაწილი სწორედ საქმიანობის პროცესში მყარდება.

#### რეგულირება - საცხოვრებელი ადგილის დაცვა

სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილით მშვიდობიანად სარგებლობის უფლება. მე-8 მუხლი ადამიანს იცავს ტერიტორიის კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან<sup>23</sup>. დავის განხილვისას შიდა ორგანოებმა უნდა მოახდინონ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესის სამართლიანი ბალანსი.

საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის დარღვევად ჩაითვლება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება ადგილზე ზემოქმედების გზით. ამ შემთხვევაში პირი სარგებლობს მე-8 მუხლის დაცვით. აღსანიშნავია, რომ მავნე ზიანის განსაზღვრისისა მთავარია დადგინდეს ამ ზიანის დადგომის შესაძლებლობა და არა მხოლოდ უკვე დამდგარი შედეგი<sup>24</sup>. ვინაიდან ბუნებრივი დაბინძურება ხელს შეუშლის ადამიანს ისარგებლოს საცხოვრებელი ადგილით, რაც თავის მხრივ დაარღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

გერემოს შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ევროპის სასამართლომ მე-8 მუხლის დაცვის ქვეშ მოაქცია და აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემისათვის ხელის შეშლა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელყოფაა<sup>25</sup>.

#### **საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა**

სახელმწიფოს მიენიჭა გარკვეული შეფასების ზღვარი, მოახდინოს ამავე მუხლით დაცული ადგილის ჩხრეკა მე-8 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნებისათვის. ამავე დროს უნდა არსებობდეს ამ პროცესულურ მოქმედებებზე ზედამხედველობის ეფექტური და ადეკვატური მექანიზმი.

საქმეში კამენზინდი შვეიცარიის წინააღმდეგ სასამართლომ შეიმუშავა სარეკომენდაციო მითითებები ზედამხედველობის ადეკვატური და ეფექტური მექანიზმის დანერგვისათვის:

1. ჩხრეკის უფლება გაცემული უნდა იქნას სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ;
2. ჩხრეკა უნდა ჩაატაროს სპეციალურად განსაზღვრულმა თანამდებობის პირებმა;

<sup>22</sup> Gillou v. the United Kingdom, 24/11/1986 წლის გადაწყვეტილება

<sup>23</sup> Akdivar and Others v. Turkey, 16/09/1996 წლის გადაწყვეტილება

<sup>24</sup> Lopez Ostra v. Spain, 9/12/1994 წლის გადაწყვეტილება

<sup>25</sup> Guerra and Others v. Italy 19/02/1998 wlis gadawyvetileba

3. ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს ექვმიტანილის ან დანაშაულის საგანის აღმოჩენის ვარაუდი;

4. ჩხრეკა არ უნდა ჩატარდეს უქმე დღეებში. გამონაკლისია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა;

5. პირს უნდა გააცნოს ჩხრეკის მიზანი და ჩხრეკის ჩამტარებელი თანამდებობის პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

6. ჩხრეკისას უნდა შედგეს შესაბამისი დოკუმენტი;

7. ჩხრეკას უნდა ესწრებოდნენ პირის ნათესავები;

8. პირს უნდა ჰქონდეს ჩხრეკის კანონიერების გასაჩივრების უფლება;

9. უკანონო ჩხრეკის შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

მაშადასამე, საცხოვრებელი ბინის მფლობელის (ბინის ჩხრეკის დროს) პიროვნება, პროფესია და დამოკიდებულება გამოსაძიებელ ფაქტთან, მეგობრებთან, მეზობლებთან და ნათესავებთან;

ჩხრეკის ობიექტის მფლობელი პირის (ბრალდებულის) წარსული (ადრინდელი ნასამართლობა და სხვ.) და კავშირი დამნაშავეთა სამყაროსთან, მისი ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის წევრთა შემადგენლობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება, საქმიანობა და ცხოვრების წესი;

სატელეფონო ქსელისა და აპარატურის ოთახებში განლაგება;

აქვთ თუ არა მობილური ტელეფონი;

ბინაში აქვთ თუ არა სიგნალიზაცია დაყენებული;

როდის ხდება სახლში ოჯახის ყველა წევრის შეკრება;

ოჯახის წევრთაგან პირი, რომელიც იმხილება დანაშაულში, სად, ვისთან და როგორ ატარებს თავისუფალ დროს;

ამ მოქმედებათა ჩატარების დროის, მასში მონაწილე პირების, ოპერატიული ჯგუფისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალების შერჩევა ძვირფასი კეთილშობილური ლითონების, საიდუმლო სამალავების და სხვა საგნების აღმოსაჩენად და სხვ. შესწავლილ უნდა იქნეს საძიებო საგნების ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნები, მათი დანიშნულება, თავისებურება, მოცულობა, სავარაუდო რაოდენობა და სხვ.

დასაძებნი საგნებისა და ობიექტების ნიშან-თვისებების აღწერისა და ამ ნიშნების ოპერატიული ჯგუფებისათვის გადაცემასთან ერთად, მათ დასაძებნად ოპერატიულ ჯგუფს უნდა მიეცეს დავალება დააწესონ სათანადო თვალთვალი შემსყიდველ პუნქტებსა და ბაზრებზე

ოპერატიულმა ჯგუფმა, თავისი დამხმარე სანდო პირების მეშვეობით, შეიძლება

ძვირფასი ცნობები მოიპოვოს ამა თუ იმ პირის საცხოვრებელ და სხვა დამხმარე სათავსოში საექვო საგნების ფარულად შეტანისა და ამ საგნების შემტანი პირების საექვო შემფოთებული ქცევის შესახებ და სხვ<sup>26</sup>.

გასატარებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, უმეტესწილად, შეიძლება იყოს მხოლოდ ფარული, ზოგჯერ შეიძლება იყოს პროცესუალური მოქმედების თანმდევი ქმედება, როგორცაა, მაგალითად, დაკავების დროს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება, ან პირადი ჩხრეკის წარმოებისას საძიებო საგნის აღმოჩენა და ამოღება და სხვ.

ბინის ჩხრეკის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ბინის მფლობელის პროფესია, სპეციალობა, რადგან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ძვირფასი ნივთების გადასამალად ხშირად იყენებენ თავიანთ პროფესიას სპეციალური სამალავების მოწყობისათვის.

გარკვეული ფსიქოლოგიური დაკვირვება უნდა ვაწარმოოთ არა მარტო ჩხრეკის შედეგებით დაინტერესებულ პირთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე, არამე თითოეული მათგანის მოძრაობაზეც, რადგან ზოგჯერ ისინი ცდილობენ ჩხრეკის საძიებო საგნი როგორმე მოათავსონ ჩხრეკის ჩამტარებელი პირის ტანსაცმლის ჯიბეში ან მათ კუთვნილ ხელსაწყოებში და სხვ.

მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ისიც, რომ ზოგჯერ ძვირფასეულობასა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს ინახავენ არა მარტო თავიანთ საცხოვრებელ ბინაში, არამედ თავისი და თავისი ნათესავების და მეგობრების საცხოვრებელ ბინებსა და დამხმარე სათავსოებშიც. ამიტომ, პირველ რიგში, დადგენილ უნდა იქნეს მათი ვინაობა, მისამართი და დამოკიდებულება. ამასთან, საჭიროა ჩხრეკის დროს მოხდეს გასაჩხრეკი ობიექტების წრის გაფართოება სათანადო პროცესუალური წესების დაცვით<sup>27</sup>.

ზოგჯერ შეიძლება ჩხრეკის ობიექტი იყოს ამა თუ იმ ბრალდებული პირის კუთვნილი ავტომანქანა, რომლის ჩხრეკის ჩატარების დროს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვასთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნეს ჩხრეკის ჩატარების ზემოთ განხილული ტაქტიკური ხერხებიც. ამასთან, მისი ჩატარების თავისებურება ბევრადაა დამოკიდებული ჩხრეკით აღმოსაჩენი და ამოსაღები საგნების საერთო და ინდივიდუალური დამახასიათებელი ნიშნების ფორმასა და მოცუობაზე.

მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით ჩატარებული ჩხრეკის ტაქტიკა გარკვეულად განსხვავდება ცეცხლსასროლი იარაღისა და იქ გადამალული სხვა ძვირფასი ნივთების აღმოსაჩენად ჩატარებული ჩხრეკისაგან. მაგრამ ყველა შემთხვევაში საჭიროა მეტი დაკვირვება და თანმიმდევრული გამოკვლევა მანქანის როგორც გარე ნაწილების, ისე მისი შიდა სალონის და ის არსებული სპეციალური სათავსოებისა. ამასთან, მისი ჩხრეკ-

<sup>26</sup> ფაფიაშვილი შ., „კრიმინალისტიკა“ ტომი III. თბ. 2006, გვ.314

<sup>27</sup> ფაფიაშვილი შ., „კრიმინალისტიკა“ ტომი III. თბ. 2006, გვ.121

ამოღება, სასურველია, ბრალდებულის დაკავების დროსაც ჩატარდეს დამსწრე პირების მონაწილეობითა და სპეციალისტების დახმარებით და ზუსტად იქნეს ფიქსირებული მათი აღმოჩენის ადგილმდებარეობა.

გამომძიების დაწყებამდე, ბრალდებული პირის დაკავების დროს მისი პირადი ჩხრეკისა და მასთან არსებული ობიექტების (ავტომანქანის, ხელ-ბარგის და სხვ.) ჩხრეკის პროცესში დამსწრე პირების მონაწილეობა სავალდებულო არაა, რადგან იგი მიჩნეულია ბრალდებულის დაკავების თანმდევ ქმედებად და მისი ამოღება მოიხსენიება დაკავების ოქმში.

საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ დანაშაულებრივი კვალის დაფარვის მიზნით დანაშაულის საგნისა და ძვირფასეულობის გადასამალად ზოგჯერ პირები აკეთებენ სპეციალურ სამალავებს, რომელთა აღმოჩენა სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გარეშე მეტად რთულია, რადგან ისინი ზოგჯერ საცხოვრებელი ბინების გარდა, იყენებენ აგრეთვე დამხმარე სათავსებს, ავეჯს, მოწყობილობებს, ტანსაცმელს, პირადი მოხმარების ნივთებს და ზოგჯერ ოთახის (ბინის) გარშემო მდებარე ტერიტორიას. ამიტომ თითოეული მათგანი გულდასმით უნდა იქნეს შემოწმებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით. კერძოდ, ამისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპექტრის უხილავი სხივების პრინციპებზე აგებული საძიებო ხელსაწყოები, ელექტროცეცები, შავი და ფერადი ლითონებისაგან დამზადებული სპეციალური ძლიერი მაგნიტური ლითონმძებნი, ჰაერის ანალიზატორები და სხვ.<sup>28</sup>.

ჩხრეკის პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. შემოწმებულ და გამოკვლეული უნდა იქნეს მოქმედი და გაუქმებული ჭები და იქ არსებული ყველა საექსპოზიციო ობიექტი მასზე არსებული კვლებით და სხვ.<sup>29</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ამოღება და ჩხრეკა, როგორც აღვნიშნეთ, ორი სხვადასხვა საგამომძიებო მოქმედებაა, მაგრამ იმდენი საერთო ნიშანი აქვთ, რომ კანონმდებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა მათი ჩატარების წესი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთი და იმავე მუხლით ყოფილიყო განსაზღვრული.

### 2.3. ჩხრეკის და ამოღების ურთიერთმიმართება

ჩხრეკის ჩატარების ზემოაღნიშნული ტაქტიკური ხერხები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ამოღების დროსაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ჩხრეკაში გადაიზრდება.

<sup>28</sup> ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბ. 2007, გვ.313

<sup>29</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით, თბ. 2015, გვ. 395

მათ შორის ძირითადი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ამოღების დროს წინასწარ ცნობილია საქმეზე მნიშვნელობის ესა თუ ის საგანი ან დოკუმენტი (მტკიცებულება), თუ იგი ინახება ამა თუ იმ პირთან ან საწარმოო დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და მათი დამატებითი ძებნა საჭირო არ არის. ამასთან არსებობს მონაცემები, რომ პირი, რომელთანაც ინახება გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგნები, მოთხოვნისთანავე გადასცემს გამოძიებას ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე. ჩხრეკის დროს კი, მართალია, წინასწარი გამოძიებით ცნობილია გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების არსებობა ამა თუ იმ პირთან, მაგრამ იმავე დროს არსებობს მონაცემები, რომ ამ საგნებსა და დოკუმენტებს ეს პირი ნებაყოფლობით არ გადასცემს. ეს საგნები და დოკუმენტები მას შეიძლება გადაძალადი ჰქონდეს სხვადასხვა ადგილას და მათი დაბრუნებისა და ამოღებისათვის საჭირო იქნება იძულებითი წესის გამოყენება ჩხრეკის სახით. ამიტომ ასეთ დროს საჭიროა სათანადო ნებართვის აღება არა ამოღებისთვის, არამედ ჩხრეკის ჩასატარებლად. რა თქმა უნდა, ჩხრეკის ჩატარების შედეგადაც ხდება საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების ამოღება, მაგრამ ეს უკანასკნელი, თავისი პროცესუალური ბუნებით არსებითად განსხვავდება ამოღებისაგან. მათი პროცესუალური დამაგრების წესიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებსი ჩხრეკა და ამოღება, მართალია, ერთადაა მოხსენებული, მაგრამ ოქმი შედგენილი უნდა იქნეს იმის მიხედვით, თუ რა იქნა ჩატარებული: ჩხრეკა თუ ამოღება. კერძოდ, იმაში, რომ ამოღების დროს შედგენილ უნდა იქნეს ამოღების ოქმი, ჩხრეკის დროს კი – ჩხრეკის ოქმი, შესაბამისი რეკვიზიტებისა და წესის დაცვით.

ამოღება, ჩხრეკისაგან განსხვავებით, ნებაყოფლობით პრინციპზეა დამყარებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამომძიებელი ან პროკურორი გამოცხადდება რა პირთან, რომელთანაც ინახება გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი, წინადადებას აძლევს მას გადასცეს დასახელებული საგანი, რომელთა ამოღება, სასურველია, მოხდეს ამ საგნის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.

ამოღება და ჩხრეკა გარკვეულწილად მსგავსი საგამომძიებო მოქმედებებია, თუმცა მათ შორის არის განსხვავებები, როგორც ამ მოქმედებათა ჩატარების საფუძვლების, ასევე ჩატარების პროცედურის თვალსაზრისით.

ამოღება ნიშნავს საგნის ან დოკუმენტის ამოღებას ძებნის გარეშე, ხოლო ჩხრეკა – საგნის ან დოკუმენტის ამოღებას ძებნის შედეგად. ამოღება ტარდება, როდესაც წინასწარ ზუსტად არის ცნობილი თუ საიდან და რა საგანი ან დოკუმენტია ამოსაღები. ჩხრეკა ტარდება, როდესაც წინასწარ ზუსტად არ არის ცნობილი კონკრეტულად საიდან, ან რა საგანი და დოკუმენტია ამოსაღები. მაგალითად:

დაწესებულებიდან ამოსაღებია გარკვეული პერიოდის საბუღალტრო დოკუმენტაცია - ტარდება ამოღება, რადგანაც წინასწარ არის ცნობილი ამოღების ადგილი და ამოსაღები საგნები.

არსებობს გარკვეული ინფორმაცია, რომ ბინაში ინახება დანაშაულის ჩადენის იარაღი (პისტოლეტი), რომლის მონაცემებიც უცნობია - ტარდება ჩხრეკა, რადგანაც წინასწარ ზუსტად არ არის ცნობილი საიდან უნდა მოხდეს ამოღება და კონკრეტულად რა საგანი (იარაღი, მაგრამ რა მოდელის) უნდა იქნეს ამოღებული. დაიწყო ჩხრეკა, მაგრამ პირმა ნებაყოფლობით წარმოადგინა საძებნი (ამოსაღები) საგანი (დოკუმენტი) - დგება ამოღების ოქმი, პირობით თუ არ გაგრძელდა ჩხრეკა. მაგ.: პირისგან ამოღებული უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენის იარაღი (პისტოლეტი), ან სხვა ნივთმტკიცება (მაგ.ნარკოტიკული საშუალება) და პირმა ნებაყოფლობით წარმოადგინა საძებნი საგანი, თუ ჩხრეკა აღარ გაგრძელდება, დგება ამოღების ოქმი, მაგრამ მიუხედავად ამოსაღები საგნის ნებაყოფლობით წარმოდგენისა, თუ გამომძიებელი მიიჩნევს, რომ მაინც საჭიროა ჩხრეკის ჩატარება სხვა შესაძლო მტკიცებულების ამოსაღებად ან იმის გადასამოწმებლად სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ამოსაღები საგანი და ამ მიზნით ჩატარდა (გაგრძელდა) ჩხრეკა, დგება ჩხრეკის ოქმი, მიუხედავად იმისა ამოღებული იქნება თუ არა, გარდა პირის მიერ წარმოდგენილისა, სხვა საგანი ან დოკუმენტი. თუ უნდა ჩატარდეს ამოღება, მაგრამ ამოღების დაწყებისას პირი უარს განაცხადებს ამოსაღები საგნის წარდგენაზე, მისი ზუსტი ადგილსამყოფელის მითითებაზე და საჭირო გახდება მისი ძებნა, ან ამოსაღები საგანი ან დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება არასრულად, ან ამოღების დროს გამოიკვეთება სხვა დანაშაულის შესაძლო ჩადენის ნიშნები და წარმოიშვება სხვა საგნებისა და დოკუმენტების ამოღების აუცილებლობა და მათ ნებაყოფლობით არ წარმოადგენენ ან არასრულად წარმოადგენენ ტარდება ჩხრეკა.მაგ.: გამომძიებელი შედის დაწესებულებაში საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოსაღებად, ადმინისტრაცია უარს აცხადებს დოკუმენტაციის გადაცემაზე და მისი ზუსტი ადგილსამყოფელის მითითებაზე, ან დოკუმენტაცია წარდგენილი იქნება არასრულად - ტარდება ჩხრეკა და დგება ჩხრეკის ოქმი.

მოქმედება შეიძლება დაიწყოს როგორც ამოღება, მაგრამ გაგრძელდეს როგორც ჩხრეკა - თუ ამოღებისას უარს განაცხადებენ ამოსაღები საგნის წარდგენაზე, მათი ზუსტი ადგილსამყოფელის მითითებაზე დასაჭირო გახდება მათი ძებნა, ან ამოსაღები საგანი(დოკუმენტი) წარმოდგენილი იქნება არასრულად, ან ამოღების დროს გამოიკვეთება სხვა დანაშაულის შესაძლო ჩადენის ნიშნები და წარმოიშვება სხვა საგნებისა და დოკუმენტების ამოღების აუცილებლობა და მათ ნებაყოფლობით არ წარადგენენ ტარდება ჩხრეკა.

რა თქმა უნდა, არანებაყოფლობითი პირადი ჩხრეკის, როგორც იძულებითი საპროცესო მოქმედების, ჩატარება შეუძლებელი, თუ პირი არ „შეაჩერეს“ , არ“ შეაკავეს“ (ვთქვათ დაუკავეს ხელები, რათა არ მოიშოროს მტკიცებულება, ან სხვაგვარად შეუზღუდეს თავისუფალი

მოქმედების შესაძლებლობა). მაგრამ ეს არ არის სისხლის საპროცესო სამართლებრივი დაკავება, როგორც ბრალდებულის დაკავება - პირის „შეჩერება. „შეკავება“ (თავისუფალი გადაადგილებისა და მოქმედების თავისუფლების გარკვეული დროით შეზღუდვა) ამ შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობითაა განპირობებული და შესაბამისად პირადი ჩხრეკისთვის განკუთვნილი დრო არ ჩაითვლება დაკავების 48 საათიან ვადაში (თუ მოხდა ამ პირის დაკავება).

### თავი III კვლევის შედეგები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>I</sup> განმტკიცებულია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ მხარეები – დაცვა და ბრალდება – სამართალწარმოების ეტაპებზე თანაბარი უფლე ბებით სარგებლობენ და გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოპოვების დროს. იმ პირობებში, როდესაც აღიარებულია მხარეთა თანაბარი შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოპოვების დროს, არსე ბობს მოლოდინი, რომ დაცვის მხარეს ამ პროცესში ბრალდების მხარის თანაბარი შესაძლებლობები გააჩნია. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება იმ ტიპის უფლებამოსილებები, რაც თავისი ბუნებით მხოლოდ ბრალდების მხარეს შეიძლება ჰქონდეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებისა და ამ პრინციპების პრაქტიკაში იმპლემენტაციის პროცესის პარალელურად, გამოიკვეთა მხარეთა თანასწორობის საკითხი, რო გორც ერთ ერთი მწვავე პრობლემა. აღმოჩნდა, რომ დაცვის მხარისთვის შეზღუდულია იმ ტიპის უფლებები, რასაც, ზოგიერთ შემთხვევაში, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქმის შედეგზე.

#### ამოღება

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს არსებული ხარვეზები მხარეებს შორის მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპზე თანაბარი შესაძლებლობის კუთხით, აუცილებელია მოკლე შედარებითი ანალიზი ძველი და მოქმედი საპროცესო კანონმდე ბლობის პრინციპებს შორის. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოცანა იყო ობიექტური ქეშმარიტების დადგენა. ამასთან, ბრალდების მხარეს წარმოადგენდა მხოლოდ პროკურორი. გამომძიებელი არ იყო ბრალდების მხარე და მას ეკისრებოდა ვალდებულება, საქმეზე

ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მოეპოვებინა ყველა მტკიცებულება – როგორც ბრალდებულის გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი. დაცვის მხარეს, თავის მხრივ, ჰქონ და შესაძლებლობა, მისთვის სასარგებლო მტკიცებულების მოსაპოვებლად საგამომიებო მოქმედების ჩატარების შუამ დგომლობით მიემართა პროცესის მწარმოებელი ორგანოსათ ვის (გამომძიებელი, პროკურორი) წინასწარი გამოძიების დროს<sup>30</sup>.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეჯიბრე ბითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით კი, განისაზღვრა, რომ საქმის შედეგი მხარეებზეა დამოკიდებული. დაცვასა და ბრალდებას ევალეზათ, მოიპოვონ მტკიცებულებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი საპროცესო კოდექსით გამომძიე ბელს აქვს ვალდებულება, ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოიძიოს სისხლის სამართლის საქმე, ის იმავდროულად ვალ დებულება, განახორციელოს პროკურორის დავალება, რომლის პირდაპირ მოვალეობას ბრალდება წარმოადგენს. აღნიშნული დან გამომდინარე, ბრალდების მხარე მოტივირებულია, უპი რატესად, სწორედ ბრალდების მტკიცებულებები მოიძიოს. ამას გარდა, მოქმედისაპროცესო კოდექსი, ძველისაგან განსხვავე ბით, აღარ ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ საგამომიებო ორგანოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობას მისთვის სასარგებლო მტკიცებულების მოპოვების მიზნით. ამგვარი უფლებამოსილება მნიშვნელოვანი იყო იმ საგამომიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლის ჩატარებაც დაცვის მხარეს არ შეეძლო. დღეს მოქმედი სსსკ ის 39 ე მუხლის მიხედვით, დაცვის მხარემ იმ საგამომიებო მოქმედების ჩასატარე ბლად, რომელსაც თავად ვერ ახორციელებს, შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს.

მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელი ვალდებულება, აწარმოებდეს საქმის სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას, ის, როგორც ბრალდების მხარე, რომელიც პროკურორს ემორჩილება და რომელსაც ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება, არ არის ვალდებული, შეაგროვოს გამამართლებელი მტკიცებულებები. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებას აქვს შესაძლებლობა, მიიღოს დაცვის მხარისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ის არ არის ვალდებული, მოიპოვოს ეს დოკუმენტი დაცვის მხარის ნაცვლად. შედეგად, იქმნება მდგომარეობა, როდესაც პროკურორი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება მოიპოვოს დოკუმენტი არ იყენებს ამ შესაძლებლობას, ადვოკატს კი, რომელსაც სურს დოკუმენტის მიღება, ვერ იღებს მას, რადგან კანონი არ აძლევს ამის საშუალებას. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი დოკუმენტი/ჩანაწერი/ მასალა ბრალდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელი ერთადერთი ან ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეი ძლება იყოს, დაცვას ერთმევა

<sup>30</sup>ე. ხუციშვილი, ს. ვერძეული. ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში თბ. 2012 გვ. 25

შესაძლებლობა, ეფექტურად გა ნახორციელოს დაცვის უფლება და იმოქმედოს ბრალდებასთან თანაბარ პირობებში. ეს კი არღვევს მხარეთა თანასწორობისა და პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს.

რეკომენდაცია დაცვის მხარის უფლებამოსილების გაზრდა შეჯიბრებითობის პრინციპი სრულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მტკიცებულებათა მოპოვების დროს, ვინაიდან ეს ეტაპი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილე ბაზე: დაცვის მხარეს მიეცეს უფლება, ამოღების შესახებ შუამ დგომლობით მიმართოს სასამართლოს. დაკმაყოფი-  
ლებული შუამდგომლობის აღსრულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ საგამომიე ბო მოქმედებას დაესწროს თავად ბრალდებული ან ადვოკატი, რათა საგამომიე ბო მოქმედების ჩამტარებელი გამომძიებლის მოქმედება დაცვის მხარის გარკვეულ ზედამხედვე-  
ლობას დაე ქვემდებაროს.

### ჩხრეკა

ჩხრეკასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესოა მოქმედისაპროცესო კოდექსის მიღებამდე და მიღების შემდგომ განვითარებული პრაქტიკის ანალიზი. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმპერატიულად ადგენდა მტკიცებულებების არსებობას ჩხრეკის საფუძვლად, თუმცა, პრაქტიკაში ჩხრეკას მაინც მხოლოდ პატაკი (პოლიციის თანამშრომლის წერილობითი შეტყობინება, მის მიერ ოპერატიული ინფორმაციის ფლობის შესახებ) ედო საფუძ ვლად. ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებასთან, რომლის მიხედვით, ჩხრეკის საფუძველს ქმნიდა მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულება კი, მხოლოდ საპროცესო კოდექსით დადგენილი წყაროდან და დადგენილი წესით მიღებულ ცნობებს წარმოად გენდა, რომლის თანახმადაც პატაკი არ იყო მტკიცებულება. ხარვეზიანი პრაქტიკის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა ვერც მოქმედი საპროცესო კოდექსის მიღებით. სისხლის სამართლის საპრო ცესო კოდექსის 119 ე მუხლით განისაზღვრა ჩხრეკის ცნება, რომლის მიხედვითაც, „დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემ ცველი სხვა ობიექტი.“

ზემოაღნიშნულის თანახმად, ჩხრეკის ჩატარების საფუძვლად განისაზღვრა დასაბუთე-  
ბული ვარაუდი. საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს თავად დასაბუთებული ვარაუდის ცნებას, რო გორც ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მო ცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიო ბით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს

კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგა მოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის გათვალისწინებულ მტკიცებულებით სტანდარტს.

ნათელია, რომ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისათვის აუცილებელია:

1. ფაქტების, ან ინფორმაციის ერთობლიობა;
2. უკვე არსებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებები;
3. ამ ორი ელემენტის ერთობლიობა, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ.

კოდექსი არ გვთავაზობს ინფორმაციის და ფაქტის კოდექსისეულ ცალკე განმარტებას.

აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ რაიმე დამატებითი ან განსხვავებული მნიშვნელობა არ გააჩნია კოდექსის მიზნებისათვის. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, ყურით გაგონილი, ტელევიზიით მოსმენილი ან ვინმეს მიერ მოყოლილი ამბავი შეიძლება იყოს ინფორმაცია, ან, მაგალითად, ქუჩაში შემთხვევით ნანახი რაიმე მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ფაქტად. პოლიციელის პატაკი, სადაც ის კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე მიუთითებს, შეიძლება, თავისთავად, იყოს ინფორმაცია. თუმცა, ეს მოცემულობა, ცალ ცალკე აღებული, არ ქმნის ჩხრეკის ჩატარების საფუძველს, თუკი სახეზე არ არის ნიადაგი, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ დანაშაული სავარაუდოდ ამ პირმა ჩაიდინა. პატაკი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის წერილობითი ინფორმაციაა, რაც ცალკე აღებული, რა თქმა უნდა, ვერ შექმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც ძველი საპროცესო კოდექსის მოქმედებისას დამკვიდრდა და არსებობას აგრძელებს მოქმედი საპროცესო კოდექსის პირობებშიც, საინტერესოა მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად დასაშვებია, ზოგადად, ერთი ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის ჩატარება და რა ხარისხის სტანდარტია საჭირო ჩხრეკის ჩასატარებლად.

#### ევროპული სასამართლოს მიდგომა

ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის ჩატარება და რა ხარისხის სტანდარტია საჭირო ჩხრეკის ჩასატარებლად.

ევროპული სასამართლოს მიდგომა როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებულ საქმეებს, ყოველთვის მსჯელობს იმაზე, იყო თუ არა ჩხრეკის ჩატარება გამოყენებული, როგორც უკიდურესი ღონისძიება, პროპორციული და საფუძვლიანი. საინტერესო საქმეს

წარმოადგენს Keegan v. United Kingdom,<sup>31</sup> სადაც სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, პოლიციის მიერ განხორციელებულ ჩხრეკას, რომელიც სასამართლოს მიერ იყო ნებადართული, საფუძვლად ედო თუ არა ნამდვილად ჭეშმარიტი რწმენა იმისა, რომ ჩხრეკა იყო აუცილებელი. ამ საქმეში<sup>32</sup>, ერთი შეხედვით, პოლიციამ თითქოს ყველა ზომას მიმართა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მოცემულ მისამართზე მართლაც სავარაუდო დამნაშავე ცხოვრობდა. შესაბამისად, შესაძლებელია, პოლიციას ჰქონოდა დასაბუთებული ვარაუდი (არაერთი ინფორმაცია და ფაქტი მიუთითებდა ამის შესახებ). თუმცა, ევროპულმა სასამართლომ, თავისი გადაწყვეტილებით, საწინააღმდეგო დაადგინა.

სასამართლომ განაცხადა: „ის ფაქტი, რომ პოლიცია არ მოქმედებს ბოროტი განზრახვით, არ არის გადამწყვეტი მისი ქმედების გასამართლებლად კონვენციის თანახმად, რომელიც მიზნად ისახავს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრევენციას ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ეს წი ნასწარ მოტივირებულია თუ შემთხვევით გამოწვეული. სასამართლო ვერ დაეთანხმება იმას, რომ ზიანის დასადგენად აუცილებელია ბოროტი განზრახვის არსებობა იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების სასიცოცხლო ფუნქცია.“ საბოლოო ჯამში, სასამართლომ აღინიშნა, რომ კონვენციის განსაზღვრებით, შესაძლოა ყოფილიყო ჩხრეკის რელევანტური მიზეზები, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც პოლიცია დაეყრდნო შეცდომას, რომლის აღმოფხვრის აუცილებლობა და შესაძლე ბლობა არსებობდა და უნდა ყოფილიყო კიდევ აღმოფხვრილი სათანადო წინაპირობების დაცვით, მათი ეს ქმედება ვერ ჩაითვლებოდა საკმარის საფუძვლად.<sup>33</sup>

პოლიციის ქმედება კი, რომელმაც გამოიწვია განმცხადებლების საფუძვლიანი შიში და შეშფოთება, არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულად მხოლოდ იმიტომ, რომ მას ბოროტი განზრახვა არ ამოძრავებდა. ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით, ეჭვის (ვარაუდის) საფუძვლიანობის ერთ ერთი აუცილებელი ელემენტი არის მისი სანდოობა. თუმცა, მხოლოდ

<sup>31</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Keegan v. United Kingdom, №28867/03, 18 ივლისი, 2006 წელი

<sup>32</sup> საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: განმცხადებლებმა იქირავეს სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ლივერპულის ქალაქის საბჭოს. აღნიშნული საცხოვრებელი სახლი 6 თვის განმავლობაში იყო თავისუფალი, ხოლო წინა მფლობელი იყო ანიტა დე ლა კრუზი. ამ პერიოდში განხორციელდა მარცვის არაერთი ფაქტი, სადაც პოლიციის მიერ ერთ ერთი ეჭვიმტანილი იყო დინ დე ლა კრუზი, ანიტა დე ლა კრუზის შვილი. პოლიციისთვის ცნობილი გახდა, რომ დინ დე ლა კრუზი ხშირად იძლეოდა იმ სახლის მისამართს, სადაც განმცხადებლების ოჯახი ცხოვრობდა; მისი ნერწყვი, რომელიც აღებულ იქნა მარცვის შემდეგ მიტოვებულ მანქანაში დარჩენილი მოსასხამიდან, შეესაბამებოდა ანიტა დე ლა კრუზისას და ეს უკანასკნელი კი ამომრჩეველთა სიაში ასევე რეგისტრირებული იყო ზემოთ მითითებულ მისამართზე. პოლიციამ ამ ფაქტების საფუძველზე დაასკვნა, რომ ამ სახლში ერთ ერთი მძარცველი ცხოვრობდა და აქვე ნამარცვიც უნდა ყოფილიყო შენახული. აღნიშნულის საფუძველზე, პოლიციამ მიმართა სასამართლოს და გამოითხოვა სახლის ჩხრეკის ორდერი

<sup>33</sup> ე. ხუციშვილი, ს. ვერძელი. ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში თბ. 2012 გვ. 32

ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია, ასევე, გონივრული ვარაუდი, რომელიც გამომდინარეობს დამატებითი ფაქტებიდან, რაც უშუალოდ დანაშაულს უკავშირდება.

მსგავსი მიდგომა ბრინეგარის საქმეში ჩამოაყალიბა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ: საფუძველზე ლიანი ეჭვი სახეზეა მაშინ, როდესაც ფაქტები და გარემოებები, რომელთა თაობაზეც სამართალდამცავ პირს აქვს გონივრულად სარწმუნო ინფორმაცია, არის თავისთავად საკმარისი, რათა გონივრულად წინდახედულმა ადამიანმა დაიჯეროს, რომ დანაშაული იქნა ჩადენილი, ან სჩადიან.

ევროპული სასამართლო თავის საქმეებში ყურადღებას ამახვილებს ჩარევის პროპორციულობის საკითხზეც. საქმეში *Niemietz v. Germany*, ადამიანის უფლებათა სასამართლომ იმსჯელა, თუ რამდენად ზომიერი იყო განმცხადებლის ოფისში განხორციელებული ჩხრევის ფარგლები. საქმე მდგომარეობდა შემდეგში: პოლიციის მიერ ჩხრევა ჩატარდა იურიდიულ ფირმაში, რომელიც ეკუთვნოდა განმცხადებელს სხვა იურისტთან ერთად.

ჩხრევის შედეგად პოლიციას, სავარაუდოდ, უნდა ამოეღო მოსამართლისადმი მიწერილი შეურაცხმყოფელი წერილი – დანაშაულის საგანი, რომელიც, სავარაუდოდ, აღნიშნული ოფისიდან გაიგზავნა. სასამართლომ დაადგინა, რომ ჩხრევის ორდერი გამოცემული იყო ფართო მნიშვნელობით, ჩხრევის ჩატარების ნებართვა გაცემული იყო დოკუმენტების მოსაძებნად და ამოსაღებად, დანაშაულებრივი წერილის ავტორის იდენტიფიცირების მიზნით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამ საკითხს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჩატარებულმა ჩხრეკამ, რომლითაც დოკუმენტები შემოწმდა, დააზიანა პროფესიული საიდუმლოება იმ მასშტაბით, რომელიც არაპროპორციულია მოცემულ გარემოებებში. ამას თან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც საქმეში ჩართულია იურისტი, პროფესიული საიდუმლოების ხელყოფამ შეიძლება გავლენა იქონიოს შემდგომში მართლმსაჯულების სათანადოდ უზრუნველყოფასა და, აქედან გამომდინარე, უფლებებზე, რომლებიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლით. გარდა ამისა, არსებულ საჯაროობას, შესაძლოა, საზიანოდ ემოქმედა განმცხადებლის პროფესიულ რეპუტაციაზე როგორც მის კლიენტებს შორის, ისე საზოგადოებაში.

ამ გადაწყვეტილებით ნათელი ხდება, რომ, მიუხედავად ჩხრევის ჩატარების ყველა საფუძველის არსებობისა, თუ ჩატარებული ჩხრევა არ არის პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მაშინ საქმე გვაქვს პირადი ცხოვრების უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვასთან. სასამართლოს გადაწყვეტილებით თვალსაჩინო გახდა, თუ რა შეიძლება იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული – საჯაროობა იმ მასშტაბით, როგორც მელიც პირის (მითუმეტეს, რომელიც არ არის ეჭვმიტანილი და დანაშაულის ჩადენაში) პროფესიულ

რეპუტაციას ზიანს აყენებს. განხილულ საქმეში საჯაროობაში მოიაზრებოდა იურისტის დოკუმენტების შემოწმება სამართალდამცავების მიერ შეუზღუდავი უფლებამოსილებით, რომელიც მათ ორდერით ჰქონდათ მინიჭებული. სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ჩხრეკის ორდერით ზუსტად და გონივრული შეზღუდვით იქნებოდა განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რა დოკუმენტები უნდა შეემოწმებინათ სამართალდამცავებს ჩხრეკის დროს, პროპორციულობა დაცული იქნებოდა.

ზემოაღნიშნული პრეცედენტების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი სტანდარტი: ჩხრეკის ჩატარებას წინ უნდა უძღვოდეს პოლიციის მიერ განხორციელებული ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა გამოირიცხოს შეცდომა ჩხრეკის ობიექტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით. სუბიექტურ მხარეზე – ბოროტი განზრახვის არსებობაზე – არ არის დამოკიდებული იმის განსაზღვრა, შეცდომით ჩატარებულმა ჩხრეკამ გაუმართლებლად შეზღუდა თუ არა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. აღნიშნული დამოკიდებულება ობიექტურ მხარეზე, თუ რამდენად მიმართა პოლიციამ ყველა შესაძლო ზომას ჩხრეკის ჩატარებამდე, გადაემოწმებინა მის ხელთ არსებული ინფორმაცია მოცემულ ადგილსამყოფელში საგნის არსებობის შესახებ, რათა შეცდომის დაშვების რისკი მინიმუმამდე დაეყვანა.

ჩხრეკის ღონისძიება გონივრულად უნდა შეიზღუდოს სხვადასხვა ფაქტორით, რათა დაცული იყოს პირადი ცხოვრებაში ჩხრეკის პროპორციულობა. ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს ჩხრეკის საფუძვლებისგან დამოუკიდებლად, ვინაიდან პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ჩხრეკის ლეგიტიმური საფუძვლების არსებობის პირობებშიც, თუკი დაცული არ იქნება ჩხრეკის პროპორციულობა.

რეკომენდაციები სამართალდამცავმა ორგანოებმა თითოეული საქმის წარმოების დროს ჩხრეკის ჩატარების წინ უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები: ჩხრეკის ჩატარებამდე ჩხრეკა უნდა განხორციელდეს სანდო აფუძვლე ბით. მას წინ უნდა უძღვოდეს პოლიციის მიერ გატარებული ყველა შესაძლო ღონისძიება, რომლითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ჩხრეკის დროს შეცდომის დაშვების რისკი.

ჩხრეკის ჩატარების დროს ჩხრეკის ჩატარების დროს პოლიციის მიერ მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული პროპორციულობა, კერძოდ, ჩხრეკა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ მასშტაბით, რაც საჭიროა გამოძიებისათვის საინტერესო ნივთის აღმოსაჩენად. თითოეულ საქმეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი უნდა მიუდგეს ინდივიდუალურად და, ამავე დროს, იმ შეგნებით, რომ ჩხრეკა ტარდება, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ეს ღონისძიება უნდა განხორციელოს იმგვარი სიფრთხილით, რომ არ გადააჭარბოს ჩხრეკისათვის დადგენილ ზღვარს.

2014 წლის 1 სექტემბერს ამოქმედებულმა ცვლილებამ - საგამომიებო მოქმედების, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების უფლებამ თითქოსდა გაამდიდრა ბრალდებულისა და მისი ადვოკატის პროცესუალური აღჭურვილობა, თუმცა მიგვაჩნია, რომ ერთი შეხედვით ადვოკატებს საგამომიებო მოქმედებების ჩატარების უფლება მიეცათ, მაგრამ ამ ცვლილებით მხარის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. სინამდვილეში, ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს მიეცათ არა საგამომიებო მოქმედების ჩატარების, არამედ მხოლოდ საგამომიებო მოქმედების ინიციატივის წამოყენების უფლება. კანონით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად მან უნდა მიმართოს მოსამართლეს, რომლის განჩინების საფუძველზე საგამომიებო მოქმედების ჩატარების უფლება ენიჭება გამომძიებელს, რომელიც ამ საქმეს არ იძიებს. ამავე კოდექსის 120-ე მუხლში შეტანილი ცვლილების მიხედვით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებული ნივთის თუ დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლებით არა დაცვის, არამედ ბრალდების მხარე სარგებლობს. მეტიც, 2014 წლის 1 სექტემბერს ძალადაკარგულად გამოცხადდა სსსკ. 84-ე მუხლი - შესული ცვლილებით დაცვის მხარეს ჩამოერთვა საგამონაკლისო უფლებაც, რომლის მიხედვითაც მას შეეძლო სასამართლოში დამატებით წარედგინა ერთი მტკიცებულება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბრალდებულის ინტერესებისათვის. ამ ცვლილებით, დაცვის მხარეს ეს უფლებაც მოესპო. ამასთან, აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია სხვა, დაცვის მხარისათვის ნეგატიური შედეგები პროცესუალურ უფლებებთან მიმართებაში, კერძოდ:

1. დაცვის მხარე დამოუკიდებლად ვეღარ ჩაატარებს ვერც ერთ იმ საგამომიებო მოქმედებას, რომლისთვისაც მოსამართლის განჩინებაა საჭირო. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში საკითხი მხოლოდ ჩხრეკას და ამოღებას არ ეხება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულს და მის ადვოკატს ჩამოერთვათ უფლება ჩაატარონ საგამომიებო მოქმედება მოსამართლის განჩინების საფუძველზე და ეს უფლება გადაეცა გამომძიებელს. ამ შემთხვევაში დაცვის მხარის როლი მხოლოდ საგამომიებო მოქმედების ინიცირებაში გამოიხატება.

2. მართალია ასეთ საგამომიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ აწარმოებს გამოძიებას ამ საქმეზე, თუმცა ლოგიკას მოკლებულია მტკიცება და მოლოდინი იმისა, რომ გამომძიებელი, რომელიც იმავე უწყების თანამშრომელია, საკუთარი კოლეგის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს.

3. ამ ფონზე, დაცვის მხარისათვის საგამონაკლისო უფლების ჩამორთმევა არღვევს მხარეთა შორის ბალანსს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე დაცვის მხარისაგან განსხვავებით კვლავ აღჭურვილია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და ფარული

საგამომიებო მოქმედებების ჩატარების უფლებით, რომ არაფერი ვთქვათ სისტემაზე, ინფორმაციასთან წვდომაზე, სხვა საგამომიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობების ხარისხზე და ა.შ.

საკუთრივ ის პრობლემა, რომ რელურად ცვლილება არა საგამომიებო მოქმედების, არამედ მისი ინიცირების უფლებას იძლევა, ნაკლებად მტკივნეული იქნება მხარისათვის, თუ დამკვიდრებული კვაზი პრაქტიკა მტკიცებულებათა ნებაყოფლობით წარმოდგენისა და გადმოცემის „ამოღებად“ მონათვლის შესახებ აღმოიფხვრება. ანუ მხარეს, იმ შემთხვევაში, თუ მას ნებაყოფლობით გადასცემენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებას, არ უნდა დასჭირდეს აღნიშნულის „ამოღება“ - ვინაიდან ეს მოქმედება გამომდინარეობს მტკიცებულის გადმომცემის ნებიდან, მას თან არ ახლავს რაიმე სახის იძულება. მეორეს მხრივ, გაცილებით დაიხვეწა პრაქტიკა მეორე - ბრალდების მხარისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც ჩხრეკა-ამოღებისას ხდება მტკიცებულების ნებაყოფლობით გადაცემა. მოსამართლე ასეთ შემთხვევაში თავის გადაწყვეტილებაში (თუ მას მაინც მიმართეს საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ) აღნიშნავს, რომ ასეთ საგამომიებო მოქმედებას არ ჭირდება მოსამართლის მიერ კანონიერად ცნობა, რადგან ადგილი ჰქონდა ნივთის თუ დოკუმენტის ნებაყოფლობით გადაცემას. კარგი იქნებოდა, თუ ამ მიმართულებით პრაქტიკა დაცვის მხარის სასარგებლოდ დაიხვეწებოდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართალია საპროცესო კანონმდებლობის დღევანდელი ვერსია უფრო დახვეწილია ძველთან შედარებით, იგი ხელს უწყობს შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარებას და დაცვის უფლების ხარისხის ამაღლებას, მაგრამ თუ ბრალდებულსა და მის ადვოკატს არ ექნებათ ბრალდების უფლებებთან მიახლოებული, ანალოგიური საპროცესო უფლებამოსილება, შეუძლებელი გახდება დაცვის მხარემ სასამართლოში თანაბარი კონკურენცია გაუწიოს ბრალდების მხარეს. ეს კი სამართალწარმოების პროცესზე უდავოდ ნეგატიურად აისახება და გარდა იმისა, რომ ვერ გამორიცხავს უკანონო და არასამართლიანი განაჩენების არსებობას, მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს.

## დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შორის, როგორც უკვე ავლინებთ, უნივერსალური უფლებაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომელსაც ყველაზე მეტად აფასებენ ცივილიზებული ადამიანები. დემოკრატიულ საზოგადოებაში პირადი ცხოვრების პრობლემას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენს მიერ, ნაშრომში, განხილული საგამოძიებო მოქმედება კი წარმოადგენს ყველაზე მძიმე ჩარევას დაცულ სფეროში, რადგან თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია მოქალაქისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა-შეზღუდვასთან, გამომდინარე აქედან, ჩხრეკა და ამოღება, როგორც იძულებითი ხასიათის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

სამწუხაროდ, მიუხედავად გატარებული რეფორმებისა და წინ გადადგმული ნაბიჯებისა, დღემდე აქვს ადგილი ისეთი ნივთების განზრახ ჩადებას, რომლებიც მითითებული არ იყო ჩხრეკის დადგენილებაში, არასათანადო პირების შესვლას საცხოვრებელ ბინაში და სხვა თვითნებობას.

საქართველო არის ქვეყანა, სადაც ტრადიციულ და თანამედროვე აზროვნებათა სინთეზი ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათეულიშიც კი მრავალ უხერხულობას, დაბნეულობას და გაურკვევლობასაც კი წარმოშობს. ქვეყანა, რომელსაც თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა ერთის მხრივ მნიშვნელობას უზრდის, მეორეს მხრივ კი მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს. ქვეყანა, რომელის მიმართაც მძაფრ ინტერესს გამოხატავენ არა

მხოლოდ ე.წ. „ზესახელმწიფოები“, არამედ სხვა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები და მათი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი თვალთახედვით ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ქვეყანა, სადაც სხვა სფეროებთან ერთად სწრაფ განვითარებას მოითხოვს სამართლის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფერო. ქვეყანა ჯერ კიდევ გარდამავალ ეტაპზეა. იგი უკვე 40 წელია გამოვიდა პოსტსაბჭოთა სივრციდან, მენტალობიდან, მიდგომებიდან და ბუნებრივია ეს სფეროთა და მიმართულებათა გარკვეულ თავისებურებებშიც აისახება. აღნიშნული არც სამართლის დარგისთვისაა გამონაკლისი. ხშირია შემთხვევები, როცა კანონმდებლობაში ასახული პრინციპები, იდეები სცდება საკითხთა პრაქტიკულ განვითარებას. ასევე ხშირია ხარვეზები კანონმდებლობაში, რაც ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაზე ნეგატიურად აისახება და ქცევათა, ურთიერთობათა დარეგულირების წესს ჩრდილს აყენებს. მოქალაქეს უჩინს უსამართლობის განცდას. ყველაზე ოპტიმისტური გადასახედიდან კი ბადებს ცვლილებათა მოლოდინის განცდას იურისპრუდენციაში. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეიქმნა კანონმდებლობის ახალი სისტემა, რომელიც აგებულია შეჯიბრებითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემისა და სხვა პროგრესული პრინციპებით. კერძოდ, კოდექსის მიხედვით თანაბარ პირობებში უნდა ჩამდგარიყვნენ როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარდგენისა და შეფასების მხრივ. კონკრეტულად კი აქცენტი გაკეთდა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით ღია სასამართლო კამათის პირობებში განხილულ მტკიცებულებებზე და ამით ხაზი გაესვა სასამართლო გამოძიების პრიორიტეტულობას. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით საფუძველი დაედო სისხლის სამართლის საქმეებზე შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვას. სიახლე გაცილებით დიდ გამოწვევას წარმოადგენს ადვოკატებისათვის, ვიდრე ბრალდების მხარის წარმომადგენლებისათვის. ადვოკატებს უწევთ ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ დაეუფლონ გამოძიების ტექნიკას, რათა მოახერხონ სრულფასოვნად დაუპირისპირონ სასამართლოში ბრალდების მხარის მტკიცებულებებს თავიანთი მტკიცებულებები და ამ გზით მიაღწიონ სასურველ შედეგს. მიუხედავად ახალი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედებისა და შეჯიბრებითობის ხარისხის გაზრდისა, სამართლიანობის პროცესს თან ახლავს რიგი პრობლემებისა, რომლებიც უმეტეს წილად დამკვიდრებული ნეგატიური პრაქტიკით და კანონში არსებული ხარვეზებით არის გამოწვეული. შევჩერდებით ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც პრიორიტეტულია თავისი აქტუალურობითა და მნიშვნელობით: შეგვიძლია ვრცლად ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რომელსაც დაცვის მხარისათვის ამოღებისა და ჩხრეკის უფლების არქონა ქმნიდა. ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია

ვისაუბროთ ბრალდებისა და დაცვის მხარის თანაბარ უფლებებზე. სადღეისოდ ეს პრობლემა ნაწილობრივ აღმოფხვრილია, თუმცა არა მთლიანად. ამაზე ქვემოთ, მანამდე კი შევეხოთ აღნიშნულთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს - პრობლემა პრაქტიკაში კიდევ უფრო მძლავრად იჩენს ხოლმე თავს მაშინ, როდესაც პროცესის მწარმოებლები მაქსიმალურად ცდილობენ კანონის იმგვარ ინტერპრეტირებას, რომ ადვოკატს შეეზღუდოს საგამომიებო მოქმედების ჩატარების უფლება. მსგავს შემთხვევებს უმეტესწილად იმ დროს ვაწყდებით, როცა უძნელდებათ, მაგალითად, მტკიცებულებათა გამოთხოვის და საგამომიებო მოქმედება „ამოღებას“ შორის ზღვარის გავლება.

დღესაც არიან ადამიანები, განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც თვლიან, რომ დამნაშავეობის ზრდა უნდა შემცირდეს ნებისმიერი გზით. მაგრამ, როცა ამისთვის უარს ამბობენ ადამიანის უფლებების გარანტიებზე, საფრთხის ქვეშ ექცევა არა დამნაშავე, არამედ თითოეული ჩვენთაგანი. საზოგადოების ნორმალური ცხოვრება არ შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ნებისმიერი საშუალებით. ეტყობა ჯერ კიდევ არ გვყოფნის სამართლებრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი - იმის გაგება, რომ მიზანი არ შეიძლება ამართლებდეს საშუალებას და კონსტიტუციური გარანტიები უნდა მოქმედებდეს ყველა შემთხვევაში. დანაშაულის გახსნა უკანონო გზით საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. თავიდან უნდა ამოვიღოთ მიზნის ფანატიზმი, რომლის მისაღწევად ვარგისია ნებისმიერი მეთოდი.

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენი მოქმედებით ვეხებით ისეთ მნიშვნელოვან და კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია, მხოლოდ მართლზომიერად, ე.ი. თუ ამას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სპეციალური ნორმები.

საჭიროა კიდევ უფრო მეტი გადამჭრელი ყურადღება მიექცეს ნამდვილი დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობას და მივადწიოთ იმას, რომ ყველამ გააიცინობიეროს დემოკრატიის არსი, რომ დემოკრატია არ არსებობს კანონიერების დაცვის გარეშე. კანონიერება და სამართალი კი უნდა იყოს ხალხის ინტერესების რეალური გამოხატულება და მათი კანონიერი ინტერესების მტკიცე გარანტი.

არაფერია იმაზე ძვირფასი და ღირებული, ვიდრე ის, რომ ყოველმხრივ იქნას დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, აღიკვეთოს უდანაშაულო პირთა უკანონო ჩხრეკის, მათ საცხოვრებელ ბინაში უკანონო შეჭრის, მოქალაქეთა უკანონო პირადი ჩხრეკისა და ამოღების, საქმის ხელოვნურად გაჭიანურების, ბიუროკრატიზმისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა დაუსჯელობის ფაქტები, ყველა სახის დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა, დანაშაულის

აღკვეთა და თავიდან აცილება, ქვეყნად სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, მართწესრიგისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცება და ნამდვილი დემოკრატიული სამართლებრივი სახემწიფოს აშენება.

## გამოყენებული ლიტერატურა

### საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი 1995
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2012
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბილისი. 2011

### სამეცნიერო ლიტერატურა

4. გაბედავა ვ., ამოღება და ჩხრეკა. ზუგდიდი, 2001
5. ლომსაძე მ. სისხლის სამართლის პროცესი თბილისი. 2015
6. მდინარაძე მ. საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული ზოგიერთი პრობლემა მართლმსაჯულების განხორციელებისას. ჟურნალი “სამართალი და მსოფლიო” N2, 2015
7. საპროცესო კოდექსისი კომენტარები“. თბილისი. 2009
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის მდგომარეობით, თბ. 2015
9. ფაფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ ტომი II. თბილისი. 2007
10. ფაფიაშვილი შ. “კრიმინალისტიკა“ ტომი I . თბილისი. 2010
11. ფაფიაშვილი შ. „კრიმინალისტიკა“ ტომი III. თბილისი. 2006
12. ხუციშვილი ე., ვერძეული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში თბ. 2012

### სასამართლო პრაქტიკა

13. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Keegan v. United Kingdom, №28867/03, 18 ივლისი, 2006 წელი
14. Gillou v. the United Kingdom, 24/11/1986 წლის გადაწყვეტილება
15. Akdivar and Others v. Turkey, 16/09/1996 წლის გადაწყვეტილება
16. Lopez Ostra v. Spain, 9/12/1994 წლის გადაწყვეტილება
17. Guerra and Others v. Italy 19/02/1998 წლის გადაწყვეტილება